საერთო გაზეთი

№23 (481) • 20 ივნისი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

აქეთ, ხალხის მხარეს!

მამუკა ბახტაძე - კაცი მომავლიდან

„საქართველო ეს არის ადამიანთა და მოქალაქეთა ერთობლიობა და ადამიანი იყო, არის და იქნება პარტია „ქართული ოცნების“ მთავარი ფასეულობა“.

დავით ჭიჭინაძე: სამთავრობო ცვლილებებთან ერთად, ვფიქრობ, აუცილებელია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა

მამუკა ბახტაძეს სწორი ხედვა აქვს, მას სრულად ვეთანხმები, რომ ჩვენი ქვეყნის პრობლემა ბანკებშია

კვირიკაშვილი, ქუმსიშვილი, ხაზარაძე – ქართული ეკონომიკის ბერმუდის სამკუთხედი

ვაჟა ბერიძე:

საქართველო ნელ-ნელა ემსგავსება 80-იანი წლების რაჭას, სადაც მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მოხუცები და ბავშვები იყვნენ

განათლების სფეროში სრული კატასტროფაა - ამ დარგს მთლიანად „ნაციონალები“ აკონტროლებენ

ალი ბაბაევი: თემურ აბაზოვს ის ვიდეო არ გადაუღია!

ის, რაც მარნეულში მოხდა, „ნაციონალების“ მიერ დადგმული პროვოკაციული სპექტაკლია

კეშას ბლოგი

ჩემი საქართველო აქ არის

„საერთო გაზეთი" – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

აქეთ, ხალხის მხარეს!

მამუკა ბახტაძე – კაცი მომავლიდან

მამუკა ბახტაძე– პრემიერ–მინისტრობის კანდიდატი:

„ეს არის დიდი პატივი და ამავე დროს დიდი პასუხისმგებლობა ჩემთვის, უახლოეს დღეებში კი მე საქართველოს პარლამენტში წარვდგები ჩემი ხედვით, რომელიც დამყარებული იქნება შემდეგ ძირითად პრინციპებზე:

პირველი გახლავთ ქართველი ხალხის ისტორიული არჩევანის ბოლომდე მიყვანა და საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაცია. ამ კუთხით „ქართულ ოცნებას“ აქვს დიდი წარმატებები და ამ წარმატებებს სჭირდება გაღრმავება და განმტკიცება.

მეორე, ჩვენ განვახორციელებთ ინოვაციურ და ფუნდამენტურ რეფორმებს ყველა საჭირო მიმართულებით. ამ რეფორმების შედეგად ჩვენ ჩამოვაყალიბებთ ახალ ეკონომიკურ მოდელს, ახალი სამართლიანი თამაშის წესებით, რომელიც შეეხება თითოეულ ქართულ ოჯახს, ჩვენს ყველა მოქალაქეს. ჩვენ შევძლებთ და შევამცირებთ ჩამორჩენას დემოკრატიის მაღალ სტანდარტსა და ეკონომიკურ მდგომარეობას შორის. ბუნებრივია, ჩვენ გავაგრძელებთ დემოკრატიული ინსტიტუტების შემდგომ განვითარებას და გაძლიერებას.

მესამე, ეს არის მცირე მთავრობის კონცეფცია. საქართველოს სჭირდება მცირე, მაგრამ ამავე დროს მოქნილი, ეფექტური სამთავრობო უწყებები. ამასთან ერთად, მიზანშეწონილად მიმაჩნია გაძლიერდეს ინსტიტუციური და საზოგადოებრივი კონტროლი ამ უწყებებზე, ამავე დროს ანტიკორუფციული ხაზითაც.

მეოთხე, რომელიც მინდა პირდაპირ გითხრათ, არის ჩემი ცხოვრების მთავარი პრიორიტეტი, ეს არის განათლება, ინოვაცია და ახალგაზრდობა. სწორედ მოტივირებული, განათლებული, სამეწარმეო ენთუზიაზმით აღსავსე და რაც მთავარია თავიანთ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა მოიტანს იმ შედეგს, რასაც ჰქვია საქართველოს ჩართვა განვითარებული ეკონომიკების მქონე ქვეყანათა რიცხვში და სწორედ ასეთი საქართველო არის ერთადერთი და უალტერნატივო შეთავაზება ჩვენი აფხაზი და ოსი ძმებისთვის, რომ დავბრუნდეთ ერთიან ოჯახში. შესაბამისად, მასშტაბური ინვესტიციები განათლებაში და ამ სექტორის ფუნდამენტური რეფორმა იქნება საქართველოს მთავრობის აბსოლუტური პრიორიტეტი.

საქართველო ეს არის ადამიანთა და მოქალაქეთა ერთობლიობა და ადამიანი იყო, არის და იქნება პარტია „ქართული ოცნების“ მთავარი ფასეულობა. შესაბამისად, თითოეული ინიციატივა, თუ ძალისხმევა, რომელსაც ჩვენ განვახორციელებთ იქნება ორიენტირებული სწორედ ადამიანზე და მის მხარდაჭერაზე, ორიენტირებული მისი თავისუფლებისა და მისი სასიცოცხლო და საოჯახო გარემოს გაუმჯობესებაზე, ისეთი შესაძლებლობების შექმნაზე, სადაც ყველას მიეცემა საშუალება რეალიზაცია გაუკეთოს თავის ნიჭს და პოტენციალს თავის სამშობლოში, მაგრამ ამისთვის ბუნებრივია საჭიროა პრინციპულობა, ერთიანობა, გუნდურობა, ძალიან მაღალი პასუხისმგებლობის ხარისხი, ძალიან მაღალი კომპეტენციის ხარისხი და რაც მთავარია, ყველა ძალის და იდეის კონსოლიდაცია.

მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ ამას ერთად აუცილებლად მივაღწევთ და საქართველო გახდება ერთიანი, ძლიერი და ევროპული ყაიდის ქვეყანა“.

წერილი, საიდანაც ფრაგმენტებს გთავაზობთ, რამდენიმე თვის წინათ დაიბეჭდა „საერთო გაზეთში“.

„ამასწინათ ერთ-ერთ ტელეარხზე საქართველოს ფინანსთა მინისტრს მამუკა ბახტაძეს ვუსმინე.

აქამდე ამ ადამიანზე ზედაპირული და ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა, რადგან ის თვითონ არ გვანებივრებდა თავისი ინტერვიუებით თუ საჯარო გამოსვლებით.

ფაქტობრივად, ეს იყო პირველი ვრცელი ინტერვიუ, რომლითაც მამუკა ბახტაძე ფართო საზოგადოებას გაეცნო.

პირადად ჩემთვის ეს გაცნობა ერთგვარი სიურპრიზი, როგორც იტყვიან, ერთგვარი სასიამოვნო მოულოდნელობა, უფრო მეტიც, ერთგვარი აღმოჩენა იყო.

რა უნდა იყოს იმაზე მეტად სასიხარულო, როცა გონიერ, ჭკვიან და, რაც მთავარია, თავისი ქვეყნის პრობლემებით გულწრფელად შეწუხებულ ადამიანს დაინახავ, რომელიც არა მარტო წუხს ამ პრობლემების გამო, არამედ აქტიურად ცდილობს მათი დაძლევის გზები და საშუალებები გამოინახოს.

კიდევ უფრო სასიხარულოა ის ამბავი, როცა ასეთი ადამიანი ხელისუფლებაში მოდის და ერთ-ერთ ისეთ საპასუხისმგებლო თანამდებობას იკავებს, რაც მას საშუალებას მისცემს, თავისი იდეები რეალურად განახორციელოს.

პირველივე ცვლილებები, რაც მამუკა ბახტაძემ ფინანსთა მინისტრის რანგში შემოგვთავაზა, ფაქტობრივად, ეს არის რევოლუციური ცვლილებები, რაც აუცილებლად სასიკეთოდ წაადგება ქართული ეკონომიკის განვითარებას და ქვეყნის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

„ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ბევრი საინტერესო ცვლილება განახორციელა, თუმცა ეს ბოლო საგადასახადო ცვლილება, შეიძლება, აქამდე მიღებული ყველა ცვლილების მთავარ ქვაკუთხედად და მათი ეფექტურად ამოქმედების მთავარ ბერკეტად იქცეს.

მამუკა ბახტაძის განცხადებით, ახალი საგადასახადო ინიციატივა აყალიბებს უპრეცედენტო შეღავათიან რეჟიმს მცირე მეწარმეებისთვის. აღნიშნული ინიციატივა წარმოადგენს მსოფლიო პრაქტიკაში უნიკალურ მოვლენას და ის შეეხება მეწარმე ფიზიკური პირების თითქმის 100 პროცენტს, სულ 120 000 ფიზიკურ პირს და მათ უკან მდგომ ადამიანებს.

ამ ინიციატივით ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვნად გაიზრდება მცირე და საშუალო ბიზნესის წილი, რაც საშუალებას მოგვცემს, მოვიცვათ მოსახლეობის ყველა ფენა.

ახალი ინიციატივის ფარგლებში, მცირე ბიზნესის სტატუსს მიიღებს ყველა ის მეწარმე, რომლის შემოსავალი არ აღემატება 500 000 ლარს.

მამუკა ბახტაძე: „დღეს ეს ზღვარი არის 100 000 ლარიდან ჩვენ 5-ჯერ ვზრდით ამ ზღვარს. ჩვენ ასევე 5-ჯერ ვამცირებთ გადასახადებს ჩვენი მეწარმეებისთვის და ნაცვლად დღეს არსებული 5%-იანი ზღვარიდან, ჩამოვდივართ 1%-იან ნიშნულამდე. ჩვენი მიზანია, მეწარმეები რაც შეიძლება ნაკლებ დროს ხარჯავდნენ საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობაში და ისინი მთლიანად იყვნენ ფოკუსირებულნი თავიანთ ეკონომიკურ საქმიანობაზე. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მცირე მეწარმეები გავათავისუფლოთ ყველანაირი დამატებითი ბუღალტერიის წარმოებისგან. მცირე ბიზნესს ვალდებულება ექნება, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში გამოიყენოს მხოლოდ საკონტროლო-სალარო აპარატი და სასაქონლო ზედნადები“.

დღეს არსებული პრაქტიკა გულისხმობს გადასახადების წინასწარ გადახდას ე.წ. საავანსო რეჟიმში. ეს პრაქტიკა გაუქმდება და მცირე მეწარმეები 1%-იან ბრუნვის გადასახადს თვის ბოლოს გადაიხდიან.

მცირე მეწარმეები, რომლებიც მცირე მეწარმის სტატუსის პარალელურად ჩათვლიან საჭიროდ, დარეგისტრიდნენ დღგ-ს გადამხდელებად, ისინი სტანდარტულ რეჟიმში შეძლებენ დღგ-ს ჩათვლას, ან დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნებას ბიუჯეტიდან 5–7 დღის ვადაში.

მამუკა ბახტაძის განცხადებით, ახალი რეფორმების ტალღის ფარგლებში, მცირე მეწარმეობის განვითარების წახალისებისთვის გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათების გარდა, ინიცირებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სფეროების განვითარებას.

უაღრესად საინტერესოა ის ახალი რეგულაციები, რაც მამუკა ბახტაძის ინიციატივით საბანკო სექტორს დაუწესდება.

საქართველოს მოსახლეობა დიდი ხანია ითხოვს რეგულაციებს, რომლებიც მოსახლეობას და ბანკებს შორის ჯანსაღი, ცივილური ურთიერთობების ფორმებს დაამკვიდრებს.

საერთოდ, ყველა ინიციატივა, რომელიც მამუკა ბახტაძემ ფინანსთა მინისტრობის დროს წამოაყენა, მოსახლეობის ინტერესებზე, მისი კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე არის ორიენტირებული.

ცხადია, მამუკა ბახტაძეს პრემიერ-მინისრის პოსტი მეტ საშუალებას მისცემს უფრო ფართოდ და ოპერატიულად განახორციელოს ის იდეები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

ადამიანები სამშობლოს კი არა, სამშობლოში არსებულ უვარგის კანონებს გაურბიანო, – ნათქვამია.

საქართველოდან ბევრი ქართველი გაიქცა.

ისინი საქართველოს კი არა, სწორედ უვარგის კანონებს და ამ უვარგისი კანონების გამო შექმნილ მძიმე სოციალურ სოციალურ პირობებს გაექცნენ.

ვერ ვიტყვით, რომ ამ ცვლილებებით ყველა უვარგისი კანონი უცებ შეწყვეტს არსებობას და ყველაფერი ერთბაშად გამოსწორდება.

არა, ეს ნამდვილად ვერ მოხდება ასე, თუმცა ეს ცვლილებები უეჭველია, დასტურია იმისა, რომ ხელისუფლება აქტიურად იწყებს მოქმედებას, რომ ძირეულად შეცვალოს იმ საგადასახადო პოლიტიკის ცალკეული პარამეტრები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი ტემპებით განვითარებას აფერხებს და ამუხრუჭებს.

„მამუკა ბახტაძე – კაცი მომავლიდან“, ეს სათაური ამ წერილისთვის შემთხვევით არ შეგვირჩევია.

ქვეყანას რაც შეიძლება მეტი მომავალზე მოფიქრალი ადამიანები სჭირდება სახელისუფლო სტრუქტურების ყველა რგოლში, ადამიანები, რომელთათვისაც მთავარი დევიზი იქნება დიდი ილიას ეს სიტყვები: „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

სამთავრობო ცვლილებები კარგია, მაგრამ ამასთან ერთად, ვფიქრობ, აუცილებელია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა

მამუკა ბახტაძეს სწორი ხედვა აქვს, მას სრულად ვეთანხმები, რომ ჩვენი ქვეყნის პრობლემა ბანკებშია

სამთავრობო ცვლილებებთან დაკავშირებით, გვესაუბრება საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ისნის მაჟორიტარი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე.

– ჩემი აზრით, ნახევარი, ერთი წელი არ არის ის ვადა, რომ სათანადოდ შეაფასო სად იყო დაშვებული შეცდომები, დღეს ახალი ხელმძღვანელების საქმიანობის კრიტერიუმი მიღწეული წარმატებები იქნება, აქედან გამოჩნდება, რამდენად სწორად მუშაობდა წინა მინისტრი. თუ მართლაც არის ობიექტური პრობლემები, რომელსაც მეორე მინისტრიც შეიძლება წააწყდეს, მაგრამ გადაილახება და ტემპის დაბრუნება მოხდება, შესაბამისად ეს უკვე აჩვენებს წინამორბედების ჩავარდნას. ამ ოთხპუნქტიანი გეგმის ნაწილი იყო ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა, მთავარმა პროკურორმა შოთაძემ ჯერ იყო და თქვა, უცხოელ პროკურორებს ჩამოვიყვანთო, რითაც ფაქტობრივად მთელი პროკურატურის დისკრედიტაცია მოხდა. შოთაძის განცხადება იმის მიმანიშნებელი იყო, რომ იგი საკუთარ სისტემაში აღარავის ენდობა, რომელსაც ავტორიტეტი ექნება. ამიტომ მისი გადადგომაც საჭირო იყო, რადგან ჩემი აზრით, ესეც არ იყო მთავრობისთვის ქულების მომტანი. იგივე საპარლამენტო კომისიის შექმნაც, ე.ი. ვაღიარეთ, რომ არ გვყავს სათანადო დონის საგამოძიებო სტრუქტურები? თან რა ხდება, იმ ადამიანებს, რომელთა მიმართაც საზოგადოებაში უამრავი კითხვა არსებობს, საზოგადოებას „ქართული ოცნების“ მიმართაც გააჩნდა კითხვები, რატომ არ ისხდნენ ეს ადამიანები მსჯავრდებულის სკამზე, სამწუხაროდ კომისია შევუქმენით, სადაც უმრავლესობით დავნიშნეთ და ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა დავავალეთ. მართალია, „ქართულ ოცნებას“ ისეთი შეცდომები არ დაუშვია, რაც ადამიანის ღირსებას შეეხებოდა, არ არის უსამართლობის განცდა, რომ ვიღაცას უმიზეზოდ ჩაგრავენ, მაგრამ ჩვენ ვერ შევძელით იმ ადამიანებისთვის სათანადო პასუხისმგებლობის დაკისრება, ვინც რას იმსახურებდა. ჩვენ „ქართული ოცნების“ ლოიალობასთან გვაქვს პრეტენზია, ის მეტად ლოიალურია წინამორბედებთან მიმართებაში, ვიდრე ამას საზოგადოება მოითხოვს. ასე თუ მივყვებით, პრაქტიკულად ყველგან ხდება იმის აღიარება, რომ, რასაც ჩვენ მოსახლეობას ვპირდებოდით, ვერსად წინ ვერ წავიწიეთ. ასე რომ, როდესაც რაღაცას ვერ აკეთებ, უნდა გადადგე, ეს პოლიტიკური ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. მთავრობა სწორად მოიქცა რომ გადადგა, ამით ახალ სამთავრობო გუნდს საშუალება მიეცემა ჩავარდნები გამოასწოროს. დღეს პარლამენტის რეპუტაციაც საკმაოდ შელახულია, ამიტომ ვისურვებდი, რომ პარლამენტმაც თავიდან მიმართოს ამომრჩეველს ახალი მანდატის მოსაპოვებლად, რათა ხელი არ შეუშალოს მთავრობის საქმიანობას, თუნდაც თავისი ასე ვთქვათ, არაპოპულარობით. საპარლამენტო რესპუბლიკაში დეპუტატები არიან ძირითადად მაკონტროლებელი ფუნქციის მატარებელი, ჩვენს კრიტიკა იქნება თუ პოზიცია, ის ძალა უნდა ჰქონდეს, რაც საერთოდ აქვს ავტორიტეტულ ორგანოს. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ მთავრობასთან ერთად პარლამენტსაც ჭირდება ახალი ნდობის მოპოვება. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია პარლამენტი არ იყოს მთავრობისთვის ასე ვთქვათ, დამამძიმებელი თავისი ავტორიტეტით. პერსონალიებზე არ ვისაუბრებ, უბრალოდ, თვითონ მთავრობის პროგრამა იყო ლიბერალური, უფრო მემარჯვენე, ახალ მთავრობას თუ ექნა მემარცხენე ცენტრისტული პროგრამა, ანუ სოციალ-დემოკრატიული მიმართულებით, რაც კონსტიტუციაში ჩავწერეთ, რომ ჩვენ სოციალური სახელმწიფო ვართ, ძირითადი მიმართულებებიც ეს უნდა იყოს. შესაბამისად, ხელისუფლებაშიც ის ხალხი უნდა იყოს, ვინც ამ პოზიციას იზიარებს, დეპუტატს კითხვას რომ უსვამ, მას რა თქმა უნდა გარკვეული პოლიტიკური პლატფორმა უნდა გააჩნდეს. თუ ისევ ის ადამიანები იქნებიან მხარდაჭერილი, შესაბამისად ეს ჩვენი ხალხის პრობლემა იქნება. არჩევნები იმიტომ ტარდება, რომ საზოგადოებამ თავისი მხარდაჭერა-არმხარდაჭერა ამ გზით დააფიქსიროს, თორემ მიტინგებით პრობლემა არ წყდება.

ხალხი სოფლის მეურნეობის პრიორიტეტად გამოცხადებას უჭერდა მხარს, მთავრობამ შესაბამისი ღონისძიებები გაატარა, რამაც ისეთი ინტერესი გააჩინა, რომ ლუკმა-პურის საშოვნელად გადახვეწილმა ხალხმა სოფლებში დაბრუნება დაიწყო. 2016 წლიდან ეს დარგი აღარავის გახსენებია და შესაბამისად, სოფლად ყველაფერი ისევ ჩაკვდა. ტურიზმი განვავითაროთო, რა სარგებელს მივიღებთ ამით, როცა სოფლის მეურნეობის პროდუქტებიც კი უცხოეთიდან შემოგვაქვს. დედაქალაქში მალე გავლა შეუძლებელი გახდება ქრონიკული საცობების გამო, ამდენი ტაქსი არასდროს მინახავს, ლამის მთელი საქართველო თბილისშია ჩამოსული, რომ როგორმე ოჯახი არჩინოს. ქალაქის განტვირთვის ახალ-ახალი გზების ძიებას, იქნებ ჯობდეს პროფესიონალებს დაუჯერონ, ააღორძინონ სოფლის მეურნეობა, ხალხს ადგილზე დასაქმების საშუალება რომ გაუჩნდება, თვითონვე დაუბრუნდება სოფელს..

მთავარი მიზანი ისაა, ხელისუფლებამ შეძლოს იმ გამოწვევების გადალახვა, რომელიც მის წინაშე დგას, საბოლოო მიზანია, ადამიანები კარგად ცხოვრობდნენ და ამას როგორ მიაღწევ, სოფლის მეურნეობით, მაღალი ტექნოლოგიებით, ინდუსტრიალიზაციით თუ საერთოდ უსაქმურობით...დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, ისეთი შედეგი მივიღოთ, რომ ჩვენი მოსახლეობა კარგად ცხოვრობდეს. სამწუხაროდ, რეალობა გვიჩვენებს, რომ რომ ვისაც თავისი თავის გამოკვება არ შეუძლია, ის დამოკიდებულია, ასე ვთქვათ, გარე ფაქტორებზე და შენი ეკონომიკა ყოველთვის არ არის მდგრადი. ვთვლი, რომ სოფლის მეურნეობა ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი დარგია. ჩვენს ქვეყანაში ინდუსტრიალიზაციის განვითარება, დიდი საწარმოები, წარმოუდგენლად მიმაჩნია იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი ბაზარი ძალიან მცირეა. აქცენტი მცირე საწარმოებზე, იმ გადამამუშავებელი საწარმოებზე უნდა გაკეთდეს, რაც სოფლის მეურნეობის პროდუქციასთან იქნება დაკავშირებული. საკუთარი დარგის წარმოება-განვითარება და არა იმპორტი, ეს არის ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი ფაქტორი. ბუნებრივია, ამას ჭირდება ფინანსები ჭირდება, ამ დაფინანსებას კი ბანკები არ იძლევიან. მათ სოფლის მეურნეობაში არ უნდათ ფულის ჩადება, იმიტომ, რომ ბევრად უფრო მიმზიდველი სეგმენტები აქვთ, სადაც პირველ რიგში თვითონ არიან წარმოდგენილები, ამას გარდა უნდათ სავალუტო სპეკულაციები, რასაც ბოლო ხანს ძალიან ხშირად ვხედავ, ეს არის ლარის კურსის ცვალებადობა, რაც ბანკებს კოლოსალურ მოგებას აძლევს და ეს ასახულიც არის მათ შემოსავლებზე. ტურიზმი ვახსენეთ, გეთანხმებით, ჩვენ პროდუქციას ვერ ვაჭმევთ ტურისტებს, ამიტომ რა ფულიც შემოდის მათგან, ისევ უკან გადის მათი კვებისა და მომსახურებისთვის. სოფლის მეურნეობის განვითარება თუ გვინდა, პროგრამა ლოკალურად ერთ კაცზე არ უნდა იყოს დამყარებული. ბევრს ეხსომება კოლმეურნეობა, თუ არ მოგვწონს ეს სახელი, საბჭოთა გადმონაშთად ვთვლით, დავარქვათ კოოპერატივი, კიბუცი, მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ, საჭიროა კოლექტიური მეურნეობა. თავის დროზე იმიტომაც შექმნეს კოლმეურნეობები, რომ ერთი ადამიანი ვერასდროს ახერხებს სოფლის მეურნეობაში იმ წარმატების მიღწევას, რაც კოლექტიურ შრომას შეუძლია მოუტანოს, რადგან ტრაქტორის და ნებისმიერი ტექნიკის შეძენა, საკმაოდ ძვირადღირებული „სიამოვნებაა“, ერთი ადამიანი ვერასდროს შეიძენს თუ არ არის საერთო საკუთრება და საერთო საქმეს არ ემსახურება. ამ ტრაქტორებისა და მექანიზმების გარეშე კი დღევანდელი სოფლის მეურნეობა არ არსებობს, როგორ შეძლებ კონკურენცია გაუწიო, უფრო იაფი დაგიჯდეს პრუდუქციის წარმოება იმ უცხოელთან შედარებით, რომელიც უამრავ ჰექტრებს ტექნიკით ამუშავებს. ჩვენი გლეხისა და ფერმერისთვის ეს ხელმიუწვდომელია, ამიტომ არის საჭირო კოლექტიური მეურნეობის შექმნა, მიწის ფართობების გამსხვილება და ეს ყველაფერი სახელმწიფოსთან უნდა იყოს ასე ვთქვათ, მიბმული.

– ბატონო დავით, იმ ტრაქტორების და აგრეგატების ლამის 90%, რომელიც სახელმწიფომ 2013 წელს პირდაპირ ქარხანა-მწარმოებლისგან შეიძინა, ჩვენს გლეხობას და ფერმერებს მომსახურებოდა და რაშიც მილიონობით თანხა (სავარაუდოდ 15 მილიონი ლარი) გადაიხადეს, სანდო წყაროების ინფორმაციით, გაძარცვული ყრია სახელმწიფო შპს „მექანიზატორის“ სხვა და სხვა სერვისცენტრებში.

– ზუსტად მაგ ტრაქტორებთან დაკავშირებით მოხსნეს მაშინდელი სოფლის მეურნეობის მინისტრი კირვალიძე, რომელიც

5 გვ.

საქართველო ნელ-ნელა ემსგავსება 80-იანი წლების რაჭას, სადაც მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მოხუცები და ბავშვები იყვნენ

ვინ დააბრუნებს 47 მილიონს, რომელიც კვირიკაშვილის დროს დონეცკის ბანკში გადაირიცხა და დაიკარგა?

გვესაუბრება ანალიტიკოსი ვაჟა ბერიძე:

— ბატონო ვაჟა, პრემიერ-მინისტრმა თანამდებობა დატოვა. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, იგი, პოსტს არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის წარმოების გამო დაემშვიდობა.

— გიორგი კვირიკაშვილი პედალირებდა მემარჯვენე ხედვებზე, პრო-ბიზნესურ, პრო-საბანკო მიმართულებაზე. იგი გარკვეული თვალსაზრისით იყო ბიზნესის, ბანკების ინტერესების ლობისტი მთავრობასა და ხელისუფლებაში. ის დასავლეთელ პარტნიორებს მოსწონდათ, მაგრამ მის მიერ ზედმეტად იქნა იგნორირებული სოციალური პრობლემები, რამაც შედეგად საკმაოდ მილევადი რეიტინგი მოგვცა როგორც კვირიკაშვილის, ისე ზოგადად, ხელისუფლების. ამის თაობაზე ივანიშვილის რეაქცია, ვფიქრობ, ადეკვატური და სწორი იყო. ვიდრე სიტუაცია დამძიმდებოდა ბატონმა ბიძინამ ბახტაძის სახით ახალი ფიგურა შემოგვთავაზა, რომელიც რკინიგზიდან მთავრობაში ფინანსთა მინისტრად გადაიყვანეს. მისგან წამოვიდა ინიციატივები, რაც მიზნად სოციალური ვითარების გაუმჯობესებას ისახავს. მის მიერ გაჟღერებული მიდგომები, უპირველეს ყოვლისა, სოციუმის პრობლემებზეა ორიენტირებული.

მაშინ როცა დოვლათი არ იქმნება. ჩვენთან, დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ ქვეყნებთან მიმართებაში მემარცხენე, მემარჯვენე და ცენტრისტული ხედვები პირობითია, რადგან აქ, სიღარიბის დონე იმ მასშტაბებისაა, რომ არ შეგვიძლია სამართლიანი განაწილების მთლიანი შიდა პროდუქტის და დოვლათის თანაბარი გადანაწილების პრიმატზე ვისაუბროთ.

მმართველმა ძალამ შემოგვთავაზა ახალი მთავრობა, ახალი ხედვა, რომლის ფრაგმენტებიც მოცემულია მამუკა ბახტაძის ინიციატივებში.

— რა მოლოდინები გაქვთ პრემიერობის კანდიდატ ბახტაძის მიმართ, რა შეიცვლება ქართულ ეკონომიკაში?

— „ქართულმა ოცნებამ“ ვერა და ვერ ისწავლა საზოგადოებასთან ურთიერთობა — რასაც აკეთებს ისიც გაუგებარი და უცნობია. თუნდაც, ავიღოთ ბახტაძის პოლიტიკაში შემოყვანა. ეს ტექნოკრატიული მიდგომა არახალია, ბევრგან არის გამოყენებული, როცა მთავრობა კომპლექტდება არა პოლიტიკური ფიგურებით, არამედ ტექნოკრატებისგან. ასე დააკომპლექტა ივანიშვილმა თავის მთავრობა, ასევე მოიქცნენ ღარიბაშვილი და კვირიკაშვილი.

ახლა, ბახტაძე უნდა გახდეს პოლიტიკოსი. ფაქტობრივად, ისევ ტექნოკრატიულ მართვაზე კეთდება აქცენტი, მაგრამ ადამიანს რომელიც მთავრობას სათავეში უდგება, ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემებისადმი უფრო ფართო და სისტემური ხედვა უნდა ჰქონდეს, რასაც, თითქოს, თანდათან გვაცნობს ბატონი ბახტაძე.

ბახტაძე შემოვიდა და საბანკო, საფინანსო ინსტიტუტების მიმართ საკმაოდ კრიტიკული ხედვა წამოაყენა, შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჭარბვალიანობა არის ქართული საზოგადოების უმთავრესი პრობლემა, ეს არის ქვეყანაში სიღარიბის წყაროო, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი გამორჩა — ჭარბვალიანობა თვითონ არის სიღარიბის შედეგი. ადამიანები ჭარბ ვალებს იმის გამო იღებენ, რომ სხვა შემოსავალი არ გააჩნიათ. ჩვენთვის მთავარი სამიზნე სიღარიბეა და არა ჭარბვალიანობა იმიტომ, რომ არ შეიძლება ებრძოლო შედეგს მისი წარმოშობი მიზეზების გარეშე. ასე, რომ ბახტაძის ხედვებში ბევრი რამ არის კრიტიკულად შესაფასებელი, მაგრამ საბოლოო ჯამში, ივანიშვილმა ჩათვალა, რომ საჭიროა კურსის კორექტირება, შეცვლა და პოლიტიკაში უფრო სოციალისტური პრონციპების შემოტანა, რადგან მოსახლეობა უკმაყოფილოა, თან საპრეზიდენტო, საპარლამენტო არჩევნები მოდის და თუ ხალხი ვერ მიიმხრე ვერანაირი გაყალბება ვერ გიშველის. ამ ყველაფრის შედეგი იყო კვირიკაშვილის ბახტაძით ჩანაცვლება. მე, რა თქმა უნდა, ვხედავ სუბიექტურ ფაქტორებსაც, თუნდაც ცალკეულ პროექტებთან დაკავშირებით, მათ შორის ანაკლიის პროექტზე, რომლის მიმართ მიდგომა, მთავარი წამყვანი უცხოური ძალის კაპიტალის და „თი-ბი-სის“ ხედვა, ივანიშვილს არ მოსწონს. დიდი პროექტი ღარიბ ქვეყანაში ბევრი რეგიონული, მასშტაბური მოთამაშისთვის ძალიან მიმზიდველია. ვგულისხმობ, როგორც დასავლურ, რუსულ, ისე ჩინურ კაპიტალს, რომელიც კიდევ უფრო აქტიურდება. ვფიქრობ, დროული და საჭირო ცვლილება იყო.

როდესაც 2016 წელს „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობას მიაღწია, ფაქტობრივად, პოლიტიკაში კონკურენცია მოკვდა, რამაც ქვეყანაში პოლიტიკური პროცესი შეაჩერა, მოხდა პოლიტიკის დეპოლიტიზაცია, რამაც საზოგადოებაში სტაგნაცია გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ეკონომიკა სულ ვითარდებოდა, ამ ყველაფერმა სიტუაცია დაამძიმა. როცა პოლიტიკური პროცესი გაჩერებულია, წინააღმდეგობა რაც საზოგადოებაში არსებობს, მით უმეტეს, ღარიბ ქვეყანაში, იჩქმალება, ხალხის წიაღში მიდის და იქ უკმაყოფილების სახით გროვდება, რაც მასობრივ მღელვარებაში გადაიზრდება, როგორც ეს მოხდა ბათუმში, ასევე, ნარკომომხმარებელთა აქცია თბილისში, რასაც მოჰყვა შვილმკვდარი მამების პროტესტი გამოწვეული სამართალწარმოების ხარვეზების გამო, რამაც სტაბილურობა ეჭვქვეშ დააყენა. ჩემი აზრით, ეს ხელისუფლების სისუსტეა. სუსტი ხელისუფლება კი დესტაბილიზაციის წინაპირობას წარმოადგენს. ამიტომ, სასწრაფოდ თუ არ გადაიდგა შესაბამისი ნაბიჯები, შესაძლოა, უკმაყოფილების მეოთხე ტალღა უფრო მასშტაბური იყოს, რაც არამარტო ხელისუფლებას დაემუქრება, არამედ საზოგადოების სტაბილურობას ეჭვქვეშ დააყენებს. მერე, უკვე, აქედან ქვეყნის სირიიზაციამდე ერთი ნაბიჯია. ეს ყველაფერი ივანიშვილმა ინტუიტიურად იგრძნო. მოგეხსენებათ იგი საკმაოდ გამჭრიახი, გონიერი ადამიანია და ცვლილებების განხორციელება დაიწყო. პრობლემათა ერთობლიობის რეზულტატი არის მამუკა ბახტაძის მთავრობა, რომელსაც საკმაოდ სერიოზული ამოცანები აქვს გადასაწყვეტი.

— თქვენ ეკონომიკური გუნდის ნაკლოვანებებზე ისაუბრეთ. მრავალი წელია მოჯადოებულ წრეზე ვტრიალებთ. კონკრეტულად, რა უნდა კეთდებოდეს, სად არის ახალი ხედვები, ორიენტირები. ფაქტია, რომ რაღაც სწორად ვერ კეთდება, რაც აისახება სამუშაო ადგილებზე, პენსიებზე, გაზრდილ საგარეო ვალზე?

— უნდა შევნიშნოთ, რომ არ არსებობს ჯადოსნური ჯოხი, რომელსაც რომელიმე მესია აიქნევს, მათ შორის, ივანიშვილი და ერთ მშვენიერ დღეს საქართველო აყვავდება. ჩვენ უკვე წლებია ვიხდით საფასურს ჩვენი თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის. თუმცა, რა თქმა უნდა, უნდა ვეცადოთ ქვეყანას უკეთესი ხალხი მართავდეს, რომლებიც მოახერხებენ უფრო მეტი ინვესტიციების მოზიდვას, უფრო ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს შექმნას, უფრო მეტად გამოაცოცხლებენ ქვეყნის ეკონომიკის საკმაოდ მიძინებულ სექტორებს. მხოლოდ ეს არის გზა წარმატებისკენ და რაც მთავარია ბოლოს და ბოლოს უნდა გადაიჭრას ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, დალაგდეს ურთიერთობები რუსეთთან, რაც ამ პოლიტიკით რასაც ახლა ვახორციელებთ, წარმოუდგენელია. არ შეიძლება ქვეყნის 22% ოკუპირებული იყოს, ფაქტობრივად, ომის მდგომარეობაში იყო დიდ მეზობელთან, მას როცა უნდა გადაგიკეტავს ბაზრისკენ მიმავალ გზებს. რუსეთის ბაზარზე ღვინის შეტანის პირობები მკაცრდება. მათ, რეალურად, ხარისხთან კი არ აქვს პრეტენზია, არამედ რუსეთი ყველანაირად ცდილობს მაქსიმალურად შეგიზღუდოს შესაძლებლობები, თან ისე, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პრინციპები არ შელახოს.

მოსახლეობისგან სოფელი სწრაფად იცლება და ხალხი საზღვარგარეთ მიდის, რასაც სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება სჭირდება. არადა, თითქოს, კვირიკაშვილის ეკონომიკურ გუნდს ეკონომიკის განვითარების ოთხ პუნქტიანი გეგმა, ხედვები ჰქონდა, მაგრამ იგი ასეთ კონკრეტიკამდე არ დადიოდა. ეს ყველაფერი გასააზრებელია და თან ისე, რომ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესები გამოიკვეთოს და გარკვეული ეროვნული პოლიტიკა მიესადაგოს. თუ ჩვენ ამ მიმართულებით დავიწყებთ ფიქრს, რომ ხალხი გაუსაძლის მდგომარეობაშია და უფრო მეტი უნდა დავუთმოთ ბიუჯეტიდან დახმარებების, შემწეობების, პენსიების გაზრდით, ეს მათ მდგომარეობას შეამსუბუქებს, მაგრამ ბიუჯეტი ამის შესაძლებლობას არ იძლევა. ახლა, ამბობენ: საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომელზეც წელიწადში სამ მილიარდამდე ლარამდე იხარჯება, ყველას არ სჭირდება და საჭიროების მიხედვით იყოსო. ვთქვათ, 10 ათასი ლარიანი ოპერაციის გასაკეთებლად რამდენ პროცენტს არ სჭირდება სახელმწიფოს დახმარება?! არ ვიცი, როგორ უნდა შეამცირო აქ დანახარჯი და ეს თანხა პენსიის გასაზრდელად გადმოისროლო. პენსიონერების ნაწილი ამბობს: სულ არ მჭირდება ოპერაცია, 180 ლარი თვიდან თვემდე არ მყოფნისო. მაგრამ ოჯახის წევრს რომ რამე დაემართოს და ოპერაციის გასაკეთებლად ბინის ბანკში

ჩადება მოუწევს, ამაზე არ ფიქრობს. „ახალგაზრდა ფინანსისტთა ასოციაციამ“ დათვალა, ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამა საერთოდ რომ გავაუქმოთ, პენსია 103 ლარით გაიზრდება, მაგრამ ვინ გადაიხდის ოპერაციების და ძვირი მკურნალობის ფულს?! ეს მთავრობის მიერ კომპლექსურად გასააზრებელია. ამ მხრივ, მომწონს ბახტაძის ხედვები. თუ მისი პლატფორმა და ხედვები მეტისმეტად სოციალიზებული არ იქნება და ბიზნეს-გარემოს არ გააუარესებს, მაშინ გვექნება შედეგიანი ცვლილება. კარგია პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, მაგრამ ვერ დაეტყო ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას. ასეთი პროექტები შედეგს მალე ვერ გამოიღებს, აქ, საჭიროა ფუნდამენტური ცვლილება. ამას შეეცადა სააკაშვილის ხელისუფლება, აქ, იყო ლიბერტარიანული მიდგომების ზეობა, დამქირავებელს ყველაფრის უფლება ჰქონდა, არანაირი შეზღუდვები, შრომის ინსპექცია არ არსებობდა, რაც მოქალაქეებს მძიმე მდგომარეობაში აგდებდა, მაგრამ ეს იყო ხედვის გზა. ლიბერტარიანული მოდგომები ჩვენზე არანაკლებ იციან

ბულგარელებმა, პოლონელებმა, უნგრელებმა, ხორვატებმა, მაგრამ ისინი ამ გზას არ ირჩევენ, პირიქით, დასავლეთ ევროპელების აზრით, მათ, მიგრანტებთან დაკავშირებით, ნაციონალისტური შეხედულებები აქვთ. კვოტებიც კი არ აიღეს სირიიდან დევნილების მისაღებად იმიტომ, რომ ეს მათ ინტერესებს არ შეესაბამებოდა. ეკონომიკულ აღმავლობას ლიბერალური და ლიბერტარიანული ხედვებისკენ გადასვლას სჭირდება გაახსნილი შრომითი ბაზარი, რათა საქართველოში მწარმოებელ კომპანიას რაც შეიძლება იაფი მუშახელი ჰყავდეს დასაქირავებელი. რატომ არ აკეთებენ იგივეს ბულგარელები, ხორვატები, სლოვენები?! ასე, რომ აქ ოქროს შუალედია მოსაძებნი. კრიტიკული დამოკიდებულება მაქვს „ქართული ოცნების“ მიმართ, მაგრამ მინდა მეტის გაკეთება შეძლონ, რადგან არსებული პოლიტიკური სპექტრიდან იგი არის ის ძალა, რომელიც უფრო ადეკვატურია და ქვეყნის ინტერესებს შეესატყვისება. ჩვენ, ერთდროულად, სათანადოდ რეგლამენტირებული და კარგახსნილი ეკონომიკა უნდა გვქონდეს, ყველაფერს უნდა ვარეგულირებდეთ. აბა, რაში გვჭირდება სუვერენიტეტი, განა მარტო იმისთვის, რომ დროშები ვაფრიალოთ და ჰიმნები ვიმღეროთ, არამედ იმისთვის, რომ ეს პროცესები თავად გადავწყვიტოთ და ის დახმარება, რაც ევროკავშირისგან, აშშ-სგან გვაქვს უფრო ეფექტურად და ნაყოფიერად გამოვიყენოთ.

— ბატონო ვაჟა, როცა თანამდებობის პირი თანამდებობას ტოვებს, თანაგუნდელებისგანვე იწყება საუბარი მის არაკვალიფიციურობაზე. თავიდანვე რატომ ინიშნებიან ასეთი კადრები, ამით ხომ ქვეყანა ზარალდება?

— კვირიკაშვილიმა თავი ვერ გაართვა მთავრობის წინაშე მდგომ რიგ პრობლემებს, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ არაკომპეტენტური იყო. მაგრამ იქ, რაშიც თავი ძლიერი ეგონა, რაღაც გამოეპარა. მაგალითად, ეკონომიკის მართვა, ან ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართ მიდგომა — ინფრასტრუქტურულ პროექტებზე წელიწადში მილიარდ 200 მილიონი ლარი იხარჯება. აქ, ბუნებრივია, არის ძალიან დიდი არე კორუფციული გარიგებებისთვის. არასამთავრობების და მედიის ერთმა ჯგუფმა ბევრი მასალა გამოაქვეყნა, მაგრამ ამ ფაქტების შესწავლა არ დაიწყო. თუნდაც, რასაც ადგილი ჰქონდა სამტრედიაგრიგოლეთის მონაკვეთის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომლის ტენდერი უკრაინულმა ფირმამ მოიგო, ფული გადაირიცხა უკრაინული ბანკის დონეცკის ფილიალში — 47 მილიონი, დაიკარგა დონეცკი, ფულიც და კომპანიაც გაქრა, ტენდერი ხელახლა გამოცხადდა. ამას კვირიკაშვილი უნდა ჩაღრმავებოდა. მაგრამ წავიდა მინისტრი და მიჩუმდა ყველაფერი. აი, კიდევ ერთერთი ფაქტორი თუ რატომ შეიცვალა კვირიკაშვილი. მოსკოვის, გინდაც ჰარვარდის, პრინსტონის უნივერსიტეტებში განათლების მიღება კარგია, მაგრამ როგორც რუსთაველი ამბობდა: „არა ვიქმ ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“. თუ არ შეგიძლია აკადემიური ცოდნა პოლიტიკურ ასპექტში გარდატეხო და მისი შესრულება უზრუნველყო, არც ხელმძღვანელობა შეგიძლია. ახლა, ყველაფერი ისევ ივანიშვილზეა დამოკიდებული. მან დასკვნები უნდა გამოიტანოს. მას ღარიბაშვილმა ვერ გაუმართლა, ვერც კვირიკაშვილმა, მარგველაშვილმა საერთოდ სხვა მიმართულებით წავიდა და ფაქტობრივად, ოპოზიციის რეჟიმში ჩაყენა ინსტიტუტი, რომელიც წესით სახელმწიფოებრიობის გარანტი, საყოველთაო მსაჯული უნდა ყოფილიყო და არა ოპონენტი, მიუკერძოებელი არბიტრი. ხალხი, ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, არ არის მიუკერძოებელი არბიტრი, იგი გაყვანილია პოლიტიკის არენიდან და მას მხოლოდ ამა თუ იმ თანამდებობაზე პირის დანიშვნის დადასტურება ევალება. აქ მიაჩნიათ, რომ ხალხი პოლიტიკურად სწორ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს, ვაითუ მან რუსეთის გავლენის ქვეშ დაბრუნებას მისცეს ხმა. ქართველი ხალხი გაცილებით ბრძენია, პოლიტიკური თვალსაზრისით, ვიდრე ეს ზოგიერთებს ჰგონიათ.

ნელ-ნელა საქართველო ემსგავსება 80-იანი წლების რაჭას, სადაც მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მოხუცები და ბავშვები იყვნენ. მალევე ბავშვებიც გაქრნენ და მხოლოდ მოხუცები დარჩნენ. თუ ქვეყანაში ვითარება არ შეიცვალა, იგივე სურათი გვექნება — საქართველოს მოსახლეობის ძირითადი ნაწილი იქნება 40-დან 70 წლამდე, მერე, ბავშვებსაც წაიყვანენ და გვექნება ჩვენთვის დამახასიათებელი ეროვნული პრობლემები. ამის გამო განგაში უნდა ავტეხოთ. არა იმიტომ, რომ რაღაც პრიმიტივები ამას ქსენოფობიად ჩაგვითვლიან. რა გვინდა, ჩვენი ბაღნარი მაინცდამაინც ჩვენთვის უნდა გახდეს მიუღებელი და მიუწვდომელი და ჩვენი მოკეთეებისთვის, მეზობლებისთვის სამოთხე?! ეს სიბრიყვეა. კი ბატონო, ჩაკეტილი სივრცე არ უნდა შევქმნათ, სადაც სხვა ქვეყნებიდან შემოსვლა აკრძალუკი იქნება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

სამთავრობო ცვლილებები კარგია, მაგრამ ამასთან ერთად, ვფიქრობ, აუცილებელია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა

3 გვ.

მერე პრემიერმა კვირიკაშვილმა დააბრუნა თავისი მრჩევლის სტატუსით და როგორც ამბობენ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს არაფორმალური მმართველი, ბატონი კირვალიძე გახლდათ. მე იმიტომაც ვუთხარი გიორგი კვირიკაშვილს, ადამიანს, რომელთანაც ვმეგობრობ, თანამდებობიდან გადამდგარიყო, რომ ჭაობია შექმნილი, მე ხომ არ დამირქმევია მისთვის ბრეჟნევი?

ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ ჩვენ ადამიანებს სახელ-გვარებით ვირჩევთ და არა მათი ხედვით, პოლიტიკური მსოფლმხედველობით. ჩამოყალიბდა სტერეოტიპი, რომ ეს კაცი არის წესიერი, ზრდილობიანი, ასე, ვაცლავ ჰაველზე წესიერი კაცი არ არსებობდა, იბრძოდა თავისი ხალხის თავისუფლებისთვის, მათი უფლებების დასაცავად, მაგრამ პრეზიდენტად ვერ ივარგა და ჩეხებმა თანამდებობიდან გადააყენეს, იგივე მოხდა პოლონეთში ვალენსასთან დაკავშირებით. პატიოსნება, მორალური ღირებულებები, ეს სიმბოლოა, რომლისკენაც ყველა პოლიტიკოსი უნდა მიისწრაფოდეს, მაგრამ როცა ტექნოკრატებზე მიდის არჩევანი, იქ ადამიანის პროგრამა და პროფესიონალიზმია მთავარი, რამდენად შეუძლია მას თავისივე წარმოდგენილი პროგრამის შესრულება. ლაპარაკი ყველას შეუძლია, თუ ადამიანი არ ასრულებს თავის მოვალეობას, უნდა შეიცვალოს. ვთვლი, რომ მამუკა ბახტაძეს სწორი ხედვა აქვს, მას სრულად ვეთანხმები, რომ ჩვენი ქვეყნის პრობლემა ბანკებშია. ამას ყოველთვის ვამბობდი, თავის დროზეც ვთქვი, რომ კახა ბენდუქიძე და ლადო გურგენიძე, ბანკირები ვერასდროს ააშენებდნენ ქვეყანას, პირიქით, გააღატაკებდნენ ხალხს, ვფიქრობ, ამას ყოველწლიურად ადასტურებს ცხოვრება, ხალხი სულ უფრო და უფრო ღატაკდება, ხოლო ბანკირები სულ უფრო მდიდრდებიან, ეს სანამდე უნდა გაგრძელდეს? გაიხსენეთ, მამუკა ხაზარაძის განცხადებები, პარლამენტარებს უკვე მოგვიწოდებდა, რომ სასწრაფოდ უნდა გაგვეტარებინა საპენსიო რეფორმა, თურმე უკვე დაგვიანებულიც იყო და ამ მიმართულებით ვერანაირ კრიტიკას ვერ მიიღებდა, ე.ი. მისთვის ფული უნდა მიგვეცა. აქეთ კიდევ სტარტაპების თემა, მოკლედ, ეს ადამიანი ხელისუფლებას აკრიტიკებს, რომ საბანკო სექტორს უნდა ჰქონდეს ყველანაირი ხელშეწყობა და ა.შ. ხაზარაძემ მიხედოს თავის ბანკირობას, როგორ კანონმდებლობას მივიღებთ, ეს ჩვენი გადასაწყვეტია. ბანკები არაპროფილურ საქმიანობას რომ ეწევიან, ჩართულები არიან სამშენებლო, სამედიცინო, სადაზღვევო სექტორში და ა.შ. ეს კონკურენციას ზღუდავს, ყველანაირად ავიწროებს. ბანკები ამ სფეროებში მომუშავე სხვა ადამიანებს ან საერთოდ არ აძლევენ კრედიტს, ანდა კაბალური პირობებით, თანხას გასცემენ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში უდროო დროს მოითხოვენ უკან დაბრუნებას, ყველაფრის უფლება აქვთ, არაფერზე ესენი პასუხს არ აგებენ. შესაბამისად მათ შეყავთ ეკონომიკა და დასაქმება ჩიხში. ზუსტად კონკურენციაა კაპიტალიზმის შემადგენელი ნაწილი, თორემ გეგმიური ეკონომიკა საბჭოთა კავშირის დროს გვქონდა. პრინციპში, ამ ბანკებს აქვთ გეგმიური ეკონომიკა, ოღონდ შეფარულად. ამიტომ უნდა ჩამოერთვათ მათ არაპროფილური საქმიანობის უფლება, კანონით ჩამორთმეულიც აქვთ, თუმცა წინა მთავრობა მაგაშიც სცოდავდა, კანონით აკრძალული საქმიანობის დროს, გვერდში ედგა ბანკირებს და მათი არაპროფილური პროექტების პრეზენტაციებს ესწრებოდა. ეს კანონი გასული წლის დეკემბერში მივიღეთ, ამ დროს 26 დეკემბერს მთელი მთავრობა დაესწრო ანაკლიაში პორტის მშენებლობაზე კაფსულის ჩაგდებას. მთავრობამ პირდაპირ დაარღვია კანონი ხომ, ამ პრეზენტაციას ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელიც ესწრებოდა, ისიც კი არღვევს კანონს. შენი მთავრობა რომ არღვევს, მერე სხვაც უპრობლემოდ დაარღვევს. ჩვენს კანონმდებლობას ჩვენ თუ არ ვეცით პატივი, სხვა რატომ სცემს? ბანკებთან დაკავშირებით, დამატებითი რეგულაცია მზადდება, სიობრივად იქნება გაწერილი მათთან დაახლოებულ პირები თუ კომპანიები, რომლებსაც აეკრძალებათ არაპროფილური საქმიანობა, ბანკებმა ეს ხვრელი თავის დროზე დაიტოვეს. ახალი მთავრობის მიმართ, პირველი ის თხოვნა მექნება, რომ ბანკებთან მიმართებაში ხისტი პოზიცია დაიკავონ, არ გახდნენ მათი არაპროფილური პროექტების გამპიარებელი. ვფიქრობ, სწრაფი ტემპებით ამოქმედდება ხსენებული რეგულაციები, რადგან წინა მთავრობა, მისი ხელმძღვანელი პროფესიული ეთიკიდან, კოლეგიალობიდან გამომდინარე, მეტნაკლებად მაინც იყო ბანკების გავლენის ქვეშ, ვიდრე ახალი პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

განათლების სფეროში სრული კატასტროფაა – ამ დარგს მთლიანად „ნაციონალები“ აკონტროლებენ

ახალმა პრემიერ-მინისტრმა ყველა საქმე გვერდით უნდა გადადოს და განათლებას, განსაკუთრებით, სასკოლო განათლებას უნდა მიხედოს

საზოგადოებისა და ექსპერტთა ნაწილს მიაჩნია, რომ პრემიერის თანამდებობიდან წასვლისა თუ გაშვების მიზეზი UNISEF-ის საგანგაშო დასკვნაში იმალება, ნაწილი კი დარწმუნებულია, რომ დასკვნა პრემიერის წასვლის ერთ-ერთი და არა ერთადერთი მიზეზია. ამ და სხვა თემებზე საინტერესო მოსაზრებები გაგვიზიარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელმა, თუმცა, გარკვეული მოსაზრებების გამო, გაზეთში ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა.

– სამწუხაროდ, IUNISEF-ის კვლევის შედეგები არ გამკვირვებია და ვეცდები ვხსნა, რატომ.. განათლება და მეცნიერება ნებისმიერი განვითარებულ სახელმწიფოსა თუ საზოგადოების მთავარი, მამოძრავებელი ძალაა. ამ ძალას თუ დაამუხრუჭებ ან პოლიტიკურ პროცესებს დაუქვემდებარებ, ერის ეკონომიკა მუდმივად სამომხმრებლო და დაბალი შემოსავლებისთვის იქნება განწირული. ადამიანად და პიროვნებად რომ შედგე, უფლის მიერ მონიჭებული გონი შენი ღვაწლმოსილი მეცნიერების შექმნილი ცოდნით უნდა დატვირთო და გაამდიდრო. დღეს კი ქვეყნის მთავარ უნივერსიტეტს ამ ცოდნის გადამცემიც არ ჰყავს.

– რატომ? უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებელთა დეფიციტია?

– სამწუხაროდ, უნივერსიტეტს მართავს რექტორი, რომელიც არავის აურჩევია და მისი მოსვლის შემდეგ უნივერსიტეტი გეომეტრიული პროგრესიით განადგურებისკენ მიექანება. 1918 წელს კავკასიის რეგიონში გახსნილი პირველი უნივერსიტეტის დიდი დამფუძნებლებიც კი ცდილობდნენ პოლიტიკური მმართველობისგან დისტანცირებას, დღეს კი ჯავახიშვილის უნივერსიტეტი მთლიანად პოლიტიკური გავლენის ქვეშაა. გიორგი შარვაშიძე უნივერსიტეტში არავის გააჭაჭანებს, თუ პირწავრდნილი ნაციონალი არაა და ეს ოცნებამაც მშვენივრად იცის. გენიალურად ბრძანა უნივერსიტეტის ყოფილმა რექტორმა ვლადიმერ პაპავამ — ბატონმა ბიძინამ სააკაშვილი კი არ მოგვაშორა, დაგვაშორაო. ყველა დეკანი და დეკანის მოადგილე ნაციონალია და საათები მათი ბრძანებით ნაწილდება. აკადემიურ ბაზარს მთლიანად ნაციონალური მოძრაობა აკონტროლებს და ნაციონალი თუ არ ხარ, ილია ვეკუაც რომ იყო, ლექციაზე არავინ შეგიშვებს. უნივერსიტეტის სასწავლო დეპარტამენტს „გაქანებული ნაციონალი“ დალი კანდელაკი ხელმძღვანელობს. ისტორიას არ ახსოვს, რომ ერთი დოქტორანტის მქონე პროფესორს კათედრა შეუქმნან, მაგრამ ნაციონალ კანდელაკს კათედრაც შეუქმნეს და სადოქტორო საბჭოც ჩააბარეს. შარვაშიძის რექტორობის პერიოდში უნივერსიტეტში ნაციონალები ისე აღზევდნენ, როგორც არასდროს, სამაგიეროდ, კატასტროფულად ეცემა სტუდენტთა ცოდნის დონე. შარვაშიძე უნივერსიტეტში დიდი რიხით მოვიდა, ამას ვიზამ, იმას ვიზამო და საბოლოოდ რიგ კორპუსებში ტუალეტების გარემონტებას დაჯერდა. არადა, რექტორის და მართვის სამენეჯერო საკითხებში ტუალეტების მოწესრიგება არასოდეს შედიოდა. უნივერსიტეტს ჰქონდა სამეურნეო განყოფილება, რომელსაც ახლა ლოჯისტიკა ქვია და ასეთ საკითხებს ის აგვარებდა. ვიღაცამ ადეკვატური პროექტი დაწერა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტოში წარადგინა და სახელმწიფომ დააფინანსა. ესაა და ეს. ციცერონმა ბრძანა, რომ ისტორია ცხოვრების საუკეთესო გაკვეთილია და ამ დროს ქვეყნის მთავარ უნივერსიტეტში ისტორიას არ ასწავლიან. რა გასაკვირია, რომ ასეთ ვითარებაში ჩვენი საუნივერსიტეტო სივრცე სტუდენტს საერთაშორისო ბაზრის შესაბამისი ცოდნის უმცირეს ნაწილსაც ვერ აძლევს? ალბათ, სწორედ ეს იყო ვლადიმერ პაპავას თანამდებობიდან გაშვების მთავარი მიზანი, რაშიც ყოფილ პრემიერს ლომის წვლილი მიუძღვის.

– პაპავა თანამდებობიდან სტუდენტების საპროტესტო აქციების შემდეგ გადადგა. კვირიკაშვილი რა შუაშია?

– დავიწყებ იმით რომ სტუდენტების აქცია, რომელსაც კვირიკაშვილმა მხარი დაუჭირა, მთლიანად მართული პროცესი იყო. თუ გახსოვთ, სტუდენტებმა ორი დაჯგუფება შექმნეს: „აუდიტორია 115“, რომელსაც სწორედ კვირიკაშვილი აკონტროლებდა და თვითმმართველობა, სადაც ყველა სტუდენტი ნაციონალია. ისტორიას არ ახსოვს, რომ ჰარვარდის, კემბრიჯის ან სხვა რომელიმე უმაღლესი სასწავლელის ხელმძღვანელთან პრემიერ-მინისტრი ან კონგრესმენი გაუფრთხილებლად მისულიყო, ჩვენთან კი სწორედ ასეთი რამ მოხდა. ვლადიმერ პაპავა თავის კაბინეტში მუშაობდა, როცა კვირიკაშვილმა კარი გაუფრთხილებლად შეუღო და რამდენიმე დღეში რექტორი, რომელიც უნივერსიტეტის ცხოვრებაში პოზიტიური მოვლენა იყო, თანამდებობიდან გადადგა. რაც შეეხება ბატონი შარვაშიძის გარექტორებას, ამაში ბევრი კლანი მონაწილეობდა. მათ შორის, განათლების სამინისტროდან, ხუბუას გარემოცვიდან და ა.შ. უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი მეცნიერები პირად საუბრებში იმასაც აღნიშნავენ, რომ ამ საქმეში მამა-შვილ გაბაშვილებსაც დიდი წვლილი მიუძღვით. ნებით თუ უნებურად, კვირიკაშვილიც ამ პროცესებში ჩართული აღმოჩნდა, თუმცა ეს ყოფილი პრემიერის ერთადერთი შეცდომა არ გახლავთ. თავის დროზე, სწორედ მან დანიშნა განათლების მინისტრად ალექსანდრე ჯეჯელავა, რომელმაც ნაციონალების დროს უნივერსიტეტიდან უამრავი დამსახურებული პროფესორი გაუშვა. გამეღიმა, როცა ახალმა პრემიერ მინისტრმა განათლების სექტორის ფუნდამენტალური რეფორმის შესახებ ისაუბრა.. ლომაიადან მოყოლებული, განათლების სამინისტროში ყველა მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო თანამდებობაზე ნაციონალები მუშაობენ და რომელ რეფორმებზე და ცვლილებებზე შეიძლება საუბარი? თანამედროვე სამყარო ფუნდამენტალურ მეცნიერებებზე დგას, ესენია: ფიზიკა, მათემატიკა, ბიოლოგია და კომპიუტერული ტექნოლოგიები. ამ დროს, ჩვენი სახელმწიფო მათემატიკაში, ფიზიკაში და ქიმიაში 100 სტუდენტს ვერ იღებს, იმიტომ, რომ არ გვყავს 100 ბავშვი, რომელიც უნარების როდენობრივ ნაწილში 44 ქულს მიიღებს. სამწუხაროდ, განათლების მინისტრი, რომელიც მექანიკა-მათემატიკის დოქტორი გახლავთ, ამ ვითარებას ისევე მშვიდად უყურებს, როგორც სამინისტროში ნაციონლების სიმრავლეს, რაც „ქართული ოცნების“ ფიასკოდ მიმაჩნია.

– 2017 წლის ივლის-აგვისტოში ჩატარებული კვლევის მიხედვით, სიღარიბის ზრდა გამოწვეულია ეკონომიკური ზრდის შენელებული ტემპით და გაზრდილი სამომხმარებლო ფასებით. როგორ ფიქრობთ, კვირიკაშვილი ამ დასკვნას გადააყოლეს?

— ჩემი აზრით, კვირიკაშვილის წასვლა თუ გაშვება დასკვნასთან პირდაპირ კავშირშია. UNISEF-მა გვითხრა, რომ საქართველოში ბავშვები შიმშილით იხოცებიან. გვითხრა, რომ ჩვენი ბავშვების უდიდესი ნაწილი დღეში 3 ლარზე ნაკლებს მოიხმარს, რაც სომალის, გუანტანამოს და ამ ტიპის ქვეყნებში მცხოვრები ბავშვების მდგომარეობას უტოლდება. ანგარიშის თანახმად, 21-ე საუკუნეში საქართველოს უამრავი რეგიონი ვერ პასუხობს ელემენტალურ საყოფაცხოვრებო სტანდარტს.

წარმოიდგინეთ, აფრიკულ სომალიში, რომელიც საქართველოზე ჩამორჩენილი ქვეყანა გვგონია, ჩვენზე მაღალი ყოფითი კულტურა აქვთ, რადგან მეტ-ნაკლებად სამართლიანი განაწილება იციან. ჩვენთან მინისტრთა კაბინეტს და სახელმწიფო სექტორში დასაქმებულ ადამიანებს ასტრონომიული ხელფასები და პრემიები აქვთ, იმ ხალხს კი ვისი გადახდილი ფულითაც საჯარო სექტორი საზრდოობს, შიმშილით სული ძვრება. თუ ევროპისკენ მივდივართ, ამ ხალხმა ბრიტანეთის ისტორია წაიკითხოს, საფრანგეთისა და გერმანიის ისტორია წაიკითხოს და ბისმარკის მოღვაწეობას გაეცნოს.

რუსულ-ამერიკული ძალა, რომელიც თანამედროვე ლიბერალურ იმპერიას ქმნის, თამაშის წესებს გვკარნახობს და ანადგურებს ჩვენს სახელმწიფოებრიობას. თუ დავაკვირდებით, ყველაფერი „ხელის გულზე“ დევს.. „ვნეშტორგბანკმა“, რომელიც რუსული უშიშროების ბანკი გახლავთ, „გაერთიანებული ქართული ბანკი“ შეიძინა და იმის ბაზაზე „ვითიბი ბანკი“ შექმნა. ნაციონალების დროს ყველა რენტაბელური, ლიკვიდური კომპანია რუსების ხელში აღმოჩნდა და გასაკვირი არაა, რომ ტერიტორიებიც მისცეს. თანაც, 2008

წლის ომის შემდეგ რუსეთმა და საქართველომ დასავლეთიდან 5 დღეში 4 მილიარდი დოლარი მიიღეს, რაც ცოტა არაა..

— აგვისტოს ომის შემდეგ საქართველომ, როგორც ომით დაზარალებულმა ქვეყანამ 4,55 მილიარდი დოლარის დახმარება ნამდვილად მიიღო, მაგრამ დასავლეთს რუსეთისთვის დახმარება არ გაუგზავნია..

— ფაქტია, ეს ფული ხალხს რომ მოხმარებოდა, ქვეყანაში მოშიმშილე ბავშვები და მოხუცები არ გვეყოლებოდა და „იუნისეფი“ ზემოთ ხსენებულ დასკვნას არ დაწერდა. ეს მილიარდები იმ ბიზნეს-სექტორში დაილექა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსების ხელშია. ცალკე სასაუბრო თემაა მედია. წარმოიდგინეთ, გაეროს ბავშვთა ფონდი ასეთ დასკვნას აქვეყნებს და ჩვენს ტელევიზიებში (მათ შორის, იმაშიც, ჩვენი ჯიბიდან რომ ფინანსდება), საბავშვო გადაცემებს და ბავშვთა პრობლემებზე საუბარს ვერ ნახავთ. ყველგან პრიმიტიული გართობა და რუსული თუ ევროპული მაუწყებლობების ბადიდან ამოღებული გადაცემების კალკები გადის. ეს არის სახელმწიფოს პროპაგანდული მანქანის ნაწილად ქცეული ტელებიზნესი, რომელიც მოსახლეობის აბსოლუტურ დაჩლუნგებას იწვევს.

— წელს თქვენი უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანი წელია — სასწავლებელს აკრედიტაცია ელის და მთელ რიგ ფაკულტეტებზე აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსებიც იწყება. რა შედეგებს ელით ერთი ან მეორე პროცესიდან?

— არავითარს! აკრედიტაციასთან დაკავშირებით მოსულები იყვნენ განთლების ხრისხის განვითარების ცენტრის ექსპერტები, რომლებიც აუცილებლად დადებით დასკვნას დაწერენ, რდგან ამ სსიპის სათვეშიც ნაციონალი თამარ სანიკიძეა და ესპერტებიც ნაციონალები იყვნენ. რაც შეეხება კონკურსებს, დარწმუნებული ვარ, რომ ამ კონკურსების შემდეგ ის სამარცხვინო პროფესორები, რომლებიც უნივერსიტეტში არიან, უფრო მაღალ აკადემიურ ხარისხებს მიიღებენ და ყველაფერი ისე დარჩება, როგორც აქამდე იყო. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მდგომარეობაზე ყველაზე კარგად ერთი ფაქტი მეტყველებს — მსოფლიო დონის მეცნიერები, ცნობილი ფოლკლორისტი და ბიბლეისტი ზურაბ კიკნაძე და ენათმეცნიერი, თედო სახოკიას შვილიშვილი შუქია აფრიდონიძე ჩვენი უნივერსიტეტიდან ილიას უნივერსიტეტში გადავიდნენ, იმიტომ, რომ იქ მაღალი ხელფასებია. ილიაუნში მოღვაწეობს შესანიშნვი ფიზიკოსი გია მაჩაბელიც, რადგან ჩვენთან მოაზროვნე, განათლებული და ეროვნული სულის მქონე ადამიანების ადგილი აღარ დარჩა. არა მარტო უნივერსიტეტიდან, ქვეყნიდან ჩვენი მოქალაქეების ყველაზე კვალიფიციური, ყველაზე შრომისუნარიანი, ყველაზე მოაზროვნე და ენერგიული ნაწილი გადის.

განვითარებული მსოფლიო ინფორმაციული და ქსელური ურთიერთობების ეპოქაში შევიდა. ასეთ მოცემულობაში ხელისუფლება მთლიანად ტრანსფორმირდება.. ელექტრონული მმართველობის დროს ვერტიკალი ინგრევა და ყველაფერი ჰორიზუნტალურ სიბრტყეზე გადადის. სამყაროს განვითარებული ნაწილი აქამდე მივიდა, ჩვენ კი ამის სიახლოვესაც არ ვართ, ამიტომ ხელისუფლებამ და ახალმა პრემიერ მინისტრმა ყველა საქმე უნდა გადადოს და განათლებას, განსაკუთრებით, სასკოლო განათლებას უნდა მიხედოს. ქვეყნის გადარჩენის გზა განათლებაზე გადის...

ნელი თორდია
571 35 36 88

პაპარა კიმი დიდ დონალდს სიმაღლეში თითქმის გაუტოლდა

სინგაპურში გამართული ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, დონალდ ტრამპისა და ჩრდილოეთ კორეის ლიდერის, კიმ ჩინ ინის სამიტი ისტორიას ჩაბარდა, მაგრამ მსოფლიოს პოლიტოლოგების განხილვის საგნად დღემდე რჩება. სინგაპურში თავდაპირველად კიმ ჩინ ინი ჩავიდა. მიმომხილველებისთვის გამოცანად რჩება, თუ რატომ ისარგებლა კიმ ჩინ ინმა მაინცდამაინც ჩინეთის ავიახაზების თვითმფრინავით. გავრცელებული ინფორმაციით, ჩრდილოეთ კორეის ლიდერი სამშობლოდან თავისი ქვეყნის თვითმფრინავით გაემგზავრა, მაგრამ ლაინერმა მოულოდნელად შეცვალა გეზი და ჩინეთში დაეშვა. სწორედ იქ გადაჯდა კიმ ჩინ ინი ჩინეთის ავიახაზების თვითმფრინავში და განაგრძო გზა სინგაპურისკენ.

სამიტის მასპინძელ ქვეყანაში კიმ ჩინ ინმა დონალდ ტრამპის ჩასვლამდე მოასწრო სინგაპურის ხელმძღვანელებთან შეხვედრა. ამის გარდა, კიმ ჩინ ინმა ქალაქის ქუჩებში ფეხით გაისეირნა, ადგილობრივი მოსახლეობა მას აღფრთოვანებით შეხვდა.

დონალდ ტრამპისა და კიმ ჩინ ინის შეხვედრა, თავისთავად, დახურული იყო და თითქმის ორი საათი გაგრძელდა. დიალოგის პირველი რაუნდის შემდეგ საუზმე გაიმართა. ტრამპმა კიმ ჩინ ინს შესთავაზა, სწრაფი კვების ობიექტში ესადილათ. იმის გარდა, რომ ტრამპი სწრაფი კვების სამზარეულოს მოყვარულია, ექსპერტების ვარაუდით, მას სურდა, ერთგვარი რეკლამა გაეკეთებინა და ირიბად შესთავაზა კიმ ჩინ ინს ჩრდილოეთ კორეაში სწრაფი კვების ობიექტების გახსნა.

კონკრეტულად რა თემები განიხილეს სინგაპურში ორი ქვეყნის ლიდერებმა, უცნობია. ზოგადად, გავრცელებული ინფორმაციით, ხელმოწერილ დოკუმენტში წერია, რომ ორივე ქვეყანა იღვაწებს ხალხის კეთილდღეობისთვის, კორეის ნახევარკუნძულზე მშვიდობისთვის, ჩრდილოეთ კორეის განიარაღებისთვის. ამასთან, დონალ ტრამპი პირადად დაუდგა გარანტად კიმ ჩინ ინს, თუ მისი ქვეყანა სრულად განიარაღდება.

აშშ-ში პოლიტიკოსებისა და პრესის კრიტიკის მიუხედავად, დონალდ ტრამპმა კიმ ჩინ ინთან შეხვედრას ისტორიული უწოდა. მართალიც არის, რადგან თითქმის 70 წლის მანძIლზე მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა. აღმოჩნდა, რომ კიმ ჩინ ინი ჩამორჩენილი და გაუნათლებელი სულაც არ ყოფილა, როგორც აქამდე მოიხსენიებდნენ.

„...ფანტასტიკური, ბრწყინვალე შეხვედრა გვქონდა. კიმთან განსაკუთრებული ურთიერთობა დავამყარეთ... იმედია, სხვა ბევრ საკითხზეც შევთანხმდებით“, — განაცხადა დონალდ ტრამპმა ჟურნალისტებთან. მისივე თქმით, მოხარული იქნება კიმ ჩინ ინი თეთრ სახლში მიიღოს.

მიუხედავად უამრავი კომპლიმენტისა, როგორც ჩანს, მხარეებს შორის უნდობლობა არ განელებულა. სინგაპურიდან აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკლ პომპეო სამხრეთ კორეაში არსებულ აშშ-ის სამხედრო ბაზას ეწვია. მისი თქმით, ერთობლივი წვრთნების შეჩერება დროებითი მოვლენა ყოფილა და ტრამპს ნებისმიერ დროს შეუძლია თავისი გადაწყვეტილების შეცვლა. სამიტის შემდეგ კიმ ჩინ ინის პირადი წარმომადგენელი მოსკოვში იმყოფებოდა და რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს შეხვდა. შედეგები კი არა, საუბრის თემაც კი უცნობია.

დონალდ ტრამპს ერთდროულად უწევს ბრძოლა შინაურ თუ გარეშე მოწინააღმდეგეებთან. მან რამდენჯერმე გამოთქვა სურვილი ვლადიმირ პუტინთან პირად შეხვედრაზე. გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტრამპის ადმინისტრაციის და სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელთა ნაწილი ყველანაირად ცდილობდნენ, არ შემდგარიყო შეხვედრა, რასაც დღემდე აღწევდნენ კიდეც. თუმცა ტრამპი კვლავ დაჟინებით ითხოვს, შედგეს დიალოგი. სამზადისის დაწყების განკარგულებაც გასცა. პოლიტოლოგები აცხადებენ, რომ ტრამპის ადმინისტრაციისა და სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლები შეხვედრის დაბლოკვას ვეღარ შეძლებენ. ექსპერტები ორი პრეზიდენტის შეხვედრას ზაფხულში ვარაუდობენ.

აფრიკა-აზიიდან ევროპაში მიმწყდარი მიგრანტების თემა ადვილი შესაძლებელია, ქვეყნებს შორის განხეთქილების საგნად იქცეს. როგორც ცნობილია, ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანა, მათ შორის, ავსტრია, უნგრეთი, პოლონეთი უარს აცხადებენ მიგრანტების მიღებაზე. მათ რიცხვს ახლა იტალიაც შეუერთდა. გასულ კვირას იტალიის ახალმა მთავრობამ ქვეყნის პორტებში შესვლის უფლება არ მისცეს გემს, რომელზეც 600-ზე მეტი მიგრანტი იმყოფებოდა. ფაქტმა ლამის დიპლომატიური სკანდალი გამოიწვია. საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა ამისთვის მკაცრად გააკრიტიკა იტალიის პრემიერი ჯუზეპე კონტე. მათი დაგეგმილი შეხვედრა ჩაშლის პირას იყო. თუმცა ჯუზეპე კონტე პარიზში კი ჩავიდა, მაგრამ ორივე ქვეყნის ხელმძღვანელი აღიარებს მიგრანტების პრობლემას, რამაც ბევრი თავსატეხი გაუჩინა ევროკავშირის ქვეყნებს.

განსაკუთრებულ უკმაყოფილებას მიგრანტების მიმართ გერმანიის მოსახლეობა გამოთქვამს. უკვე ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებიც ალაპარაკდნენ და კანცლერ ანგელა მერკელს ღიად აკრიტიკებენ მიგრანტთა მიმართ განხორციელებული პოლიტიკის გამო. გერმანელი პოლიტოლოგები შიშობენ, არ დაიშალოს წვალებით შეკოწიწებული კოალიციური მთავრობა, რომლის ფორმირებასაც 5 თვეზე მეტი დასჭირდა. გერმანულ პრესაში გავრცელდა ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრის გამონათქვამი მერკელის შესახებ: „...აღარ შემიძლია ამ ქალთან მუშაობაო“. რას მოიმოქმედებს მერკელი, უცნობია. თუმცა მთავრობის წევრები და პოლიტიკური პარტიების ნაწილი კანცლერს ულტიმატუმის ენით ესაუბრებიან. უცნობია ასევე, ევროკავშირის პოზიცია, რომელიც დღემდე დუმს. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ, თუ არ მიიღეს ქმედითი ზომები, კრიზისი გაღრმავდება, რამაც, შესაძლოა, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის დიდი განხეთქილება გამოიწვიოს, რაც ევროპისთვის საზიანო იქნება.

გია ბურდული
551 71 27 07

ის, რაც მარნეულში მოხდა, „ნაციონალების“ მიერ დადგმული პროვოკაციული სპექტაკლია

თემურ აბაზოვს ის ავადსახსენებელი ვიდეო არ გადაუღია!

გვესაუბრება საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე ალი ბაბაევი:

– ბატონო ალი, მოგვიყევით, რა მოხდა სინამდვილეში მარნეულში, თქვენ გექნებათ უფრო ზუსტი და სარწმუნო ინფორმაცია.

– მარნეულში მომხდარი ინციდენტი თბილისიდან დაიწყო.

მოგეხსენებათ, თბილისში გასულ კვირებში აქციები მიმდინარეობდა შვილმკვდარი მამებისთვის ვითომ სოლიდარობის გამოსახატავად, რომელსაც, ფაქტობრივად, ნაციონალები ხელმძღვანელობდნენ.

აქციაზე ჩამოყვანილი ჰყავდათ დეპუტატი „ნაცმოძრაობიდან“ აზერ სულეიმანოვი, რომელიც არ უარყოფს, რომ ხშირად ხვდება მიხეილ საკაშვილს საზღვარგარეთ. ფაქტებიც არის დაფიქსირებული, როცა ის საბჭოში ზის ჰოლანდიაში და, რა თქმა უნდა, მეორე ფრთის „ევროპული საქართველოს“ ლიდერი აზმედ გულმამედოვი. ამ არეულ

სიტუაციაში თბილისში აქციაზე ელჩინ ალახვერდოვმა პირდაპირ აგინა ბიძინა ივანიშვილს, „ქართული ოცნების“ პარტიის თავმჯდომარეს, მთელ „ქართულ ოცნებას“, ამ პარტიის მამაკაცების ცოლებს და მარნეულის მერს თემურ აბაზოვს.

იმ საღამოს, როცა ალახვერდოვის გინების ამსახველი ვიდეო გავრცელდა სოციალურ ქსელში, „ნაცმოძრაობის“ იდეოლოგიის გამტარებელ ტელევიზიაში „რუსთავი-2“-ში გავიდა სიუჟეტი და დებატები ამ საკითხთან დაკავშირებით. პარალელურად „ნაცმოძრაობის“ ოფისში მარნეულში „ნაცმოძრაობის“ დეპუტატი აზერ სულეიმანოვი და მისი მომხრეები იბარებენ ალახვერდოვს ოფისში და მიდის იქ გარჩევა, თუ რატომ მოქმედებდა ეს ადამიანი „ნაცმოძრაობის“ სახელით. ოფისში ფიზიკური შეხლა-შემოხლაც ყოფილა და სხვათა შორის, ამ ამბავს, თურმე „ქართული ოცნების“ ერთი წარმომადგენელიც ესწრებოდა, კერძოდ, საკრებულოს დეპუტატი რამინ ალახვერდოვი. ამ გარჩევის მერე წასულან მერნეულში რესტორანში, სადაც მოხდა კიდევაც ის ინციდენტი, რომელსაც იღებენ – ალახვერდოვი ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ უხდის ბოდიშს და იგინება ახლა უკვე თავისი ცოლის მისამართით, ხელში უჭირავს პლასტმასის ჭიქა და სახეზე ისვამს რაღაც სითხეს, მაგრამ რა სითხეა ეს, ჯერ კიდევ გასარკვევია.

ამ ვიდეოს გადაღებას თემურ აბაზოვს აბრალებენ, არადა, თავის გაკეთებულ ამ სამარცხვინო საქმეს თემურ აბაზოვი როგორ და რატომ გაავრცელებდა?!.

ეს იყო „ნაციონალების“ მიერ დაგეგმილი მიზანმიმართული პროვოკაცია „ქართული ოცნების“ და მარნეულში „ოცნების“ ლიდერის თემურ აბაზოვის წინააღმდეგ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს ისტორიაში თემურ აბაზოვი არის პირველი მერი, რომელიც მარნეულში ყოველგვარი ძალდატანების გარეშე აირჩია ხალხმა.

ჩვენ კავკასიელები ვართ და ჯერ კიდევ დაგვრჩა წინაპრებისგან სინდის-ნამუსი და ტრადიცია, რასაც საუკუნეებია ვინახავთ. როცა დღეს ჩვენ თვალწინ ილახება ქალის ღირსება და პატიოსნება, მოხუცის, ბავშვის პატივისცემა იკარგება, მათ შეურაცხყოფას ჩვენ ვერ მოვითმენთ. საჯაროდ ადამიანს ცოლს უგინებენ, კიდევ კარგი მოთმინება ჰქონია გინების ადრესატებს. მიმაჩნია, რომ ეს იყო მოწყობილი, სპეციალურად დადგმული ამბავი. „ნაციონალები“ უკვე დიდი ხანია ცუდად ურევენ ხელს მარნეულში.

– რატომ მაინცდამაინც მარნეულში?

– მარნეული ქვემო ქართლში ყველაზე მძიმე ობიექტია, მოქმედებენ კლანური ძალები. არის ადგილობრივი – აზერბაიჯანული კლანები, რომლებიც ითხოვენ, რომ მარნეულში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მხოლოდ ადგილობრივები უნდა იყვნენ და არა სხვა რაიონიდან ან თბილისიდან ჩასულები; ასევე არის სვანური კლანი, რომელთაც სურთ, თავიანთი ძალაუფლება ჰქონდეთ; მესამე – „პოლიტიკური კლანი“ და მეოთხე – „რელიგიური კლანი“. პრინციპში, მათი ძირითადი ინტერესია, რეგიონში და კერძოდ, მარნეულში, ხელისუფლებაში არ მოვიდეს ინტეგრირებული, ქართულენოვანი აზერბაიჯანელი.

ამ პროცესებში განსაკუთრებით აქტიურობენ ის პოლიტიკური კლანები, რომლებიც შევარდნაძის დროიდან მოყოლებული ფლობენ ძალაუფლებას. ხელისუფლებები იცვლება, მაგრამ ეს ადამიანები არ იცვლებიან.

თემურ აბაზოვს გირაოზე უარი უთხრეს, რითაც გამოდის, რომ მარნეულის გამგებელი ყოფილა სერიოზული კრიმინალი, სახელმწიფო დამნაშავე, მაშინ, როცა აბაზოვი არის „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, აქტივისტი და კიდევ ვიმეორებ, ხალხის მიერ არჩეული. შეიძლებოდა მას დაკისრებოდა გირაო და აკრძალვოდა ქვეყნიდან გასვლის უფლება ან მისჯოდა შინაპატიმრობა.

– ბატონო ალი, თქვენ იცნობთ ელჩინ ალახვერდოვს? იგი „ნაცმოძრაობის“ წევრია?

– ალახვერდოვს პირადად ვიცნობ. 2012 წელს გავიცანი. ის ჩვენს ჯგუფში დადიოდა, ვითომ „ოცნებას“ ვუჭერ მხარსო, მაგრამ მერე ნაციონალების გვერდით დადგა. სინამდვილეში ის ყოველთვის ნაციონალი იყო და აქტიურად მონაწილეობდა იმ სისაძაგლეებში, დარბევებში და ა. შ. რაც ხდებოდა საპარლამენტო არჩევნების დროს.

ნაციონალებს ქვეყანაში არეულობა სურთ, რომ ხელისუფლება შეცვალონ, ვითომ მშვიდობიანი გზით, სინამდვილეში კი ნებისმიერი ხერხით, ოღონდაც თვითონ მოვიდნენ, მაგრამ ამას ვერ ეღირსებიან. იგივე სურვილები აქვს მათ ლიდერს მიხეილ საკაშვილს, რომლის ადგილი მატროსოვის ციხეშია. მის გვერდით ადგილები ეკუთვნის იმ ნაციონალებს, რომლებიც დღეს დათარეშობენ და ქვეყანას საფრთხეს უქმნიან. მათ შორის მოიაზრება პატივცემული ბატონი გრიგოლ ვაშაძე, რომელიც ძალით სტაცებდა ბიზნესებს ხალხს, უსამართლოდ უკანონებდა მიწებს მათ მომხრეებს. ამ ადამიანმა საქართველოს აზერბაიჯანელთა კონგრესის რეგისტრაცია, ყოველგვარი კანონის დაცვით შექმნილი, წამართვა და ქვემო ქართლის გუბერნატორის ყოფილ მოადგილეს, სისხლის სამართლის საქმე რომაა აღძრული, ისეთ ადამიანს გადასცა.

– ვისზე საუბრობთ?

– ჰუსეინ უსუბოვზე, რომელიც სასამართლოს წინაშე უნდა იდგეს ახლა. მასზე სს საქმეა აღძრული. ეს კაცი დღემდე „ნაცმოძრაობის“ მომხრეა და ელოდება, როდის დაბრუნდება მიშა საქართველოში, რომ თვითონ ისევ ხელმძღვანელ თანამდებობაზე დასკუპდეს.

ნუ ეწყინება „ნამდვილებს“, ჩემს „ოცნებელებს“, მე ვაცხადებ: პორტირებულები სპეციალურად არიან ჩანერგილი ჩვენს გუნდში იმისთვის, რომ „ნაცმოძრაობის“ დაბრუნების შემთხვევაში, ზურგიდან ხანჯალი ჩაგვცენ.

ის, რაც ხდება „ქართული ოცნების“ შიგნით, ყველაფერი იციან ნაციონალებმა. ინფორმაციები ჟონავს პროკურატურიდან, შს ორგანოებიდან, უსაფრთხოების სამსახურებიდან, პრეზიდენტის აპარატში, გუბერნიებში, გამგეობაში და ყველა ორგანოში, ყველგან ნაციონალები არიან მოკალათებული. თვითონ სააკაშვილმაც თქვა: ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში ჩვენი ხალხი გვყავს, საიდანაც ინფორმაციებს ვიღებთო.

მივმართავ „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობას!

მოხდეს პორტირებულების ლუსტრაცია და ის ადამიანები, რომლებიც ჩვენი ერთგულები არ არიან, წავიდნენ ჩვენი რიგებიდან, დავიბრუნოთ ჩვენი თანამებრძოლი, პატიოსანი ადამიანები, რომლებიც 1 ოქტომბერს გმირებივით იდგნენ ამ ფაშისტების წინააღმდეგ, „ოცნების“ გვერდით. ეს ხალხი დღეს ძალიან არის გაბრაზებული და გულნატკენი. რატომ ვკარგავთ მომხრეებს, ბატონებო?!

თემურ აბაზოვს აქვს ძალიან დიდი მხარდაჭერა ქვემო ქართლში. ეს კაცი წარმოშობით თბილისელია, არის ერთგული და განათლებული ადამიანი. მის გათავისუფლებას ითხოვენ მარნეულელები და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში კომპაქტურად მცხოვრები აზერბაიჯანელები.

თემურ აბაზოვი თანამშრომლობს გამოძიებასთან და თუ მხარდაჭერას იგრძნობს, კიდევ ბევრი სიმართლე გაირკვევა. მისი იზოლაცია, არის ნაციონალების ინტერესი და პროკურატურის ვითომდა პრინციპულობა. თუ ასეთი პრინციპულები არიან, თაროებზე რომ უდევთ მტვერდაყრილი, ნაციონალების ჩადენილი დანაშაულებების ტომეულები, იმათ მიხედონ და არა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების დისკრედიტაციას ქვემო ქართლში.

თუ პროკურატურა აბაზოვის საქმეს ასე გააგრძელებს, ჩვენ, საქართველოს აზერბაიჯანელები, ვაპირებთ მთელი საქართველოს მასშტაბით ხელმოწერები შევაგროვოთ მის მხარდასაჭერად. ამანაც თუ შედეგი არ გამოიღო, პერმანენტულ აქციებს გავმართავთ, როგორც გენპროკურატურასთან, ასევე მარნეულში.

დამნაშავე ნაციონალები ჭკუას რატომ გვარიგებენ? ესენი უნდა დარბოდნენ ხალხში და პროვოკაციებს აწყობდნენ, ხოლო თემურ აბაზოვი უნდა იყოს ციხეში? ეს არის ჩვენი დღევანდელი სამართალი?

დღეს დაიჭირეს თემურ აბაზოვი, ხვალ სხვას დაიჭერენ, ზეგ ჩვენ დაგვიჭერენ, სად ვიპოვოთ სამართალი, უკვე გაუგებარია.

ძალიან მიკვირს, რატომ არ იჩენენ არავითარ რეაგირებას საერთაშორისო ორგანიზაციები და მეგობარი ქვეყნების ელჩები იმაზე, რასაც აკეთებს „ნაცმოძრაობა“ და მისი ჯუჯა პარიტები საქართველოში. ეს ჯგუფები ქვეყანაში დესტაბილიზაციას გეგმავენ და ამით გზას უკეტავენ საქართველოს განვითარებისკენ, ევროკავშირისკენ და ნატოსკენ. საერთაშორისო დონეზე ულახავენ იმიჯს ჩვენს ქვეყანას.

დიდი იმედი მაქვს სახელისუფლო ცვლილებების და ვიმედოვნებ, რომ ვიხილავთ პატიოსან, პროფესიონალ გენერალურ პროკურორს, რომელიც მართლაც გენერალურ წმენდას ჩაატარებს და ზოდელავას, ოქრუაშვილის, ადეიშვილის კადრებს ჩამოაცილებს პასუხსაგებ თანამდებობებს.

ჩემი აზრით, სასწრაფოდ არის დასაწყები ცვლილებები კანონმდებლობაში – ადამიანის უფლებებს თუ ვიცავთ, ადამიანის უფლებაა ოჯახის ღირსების დაცვაც, ქონების დაცვის უფლებაც და ა.შ. გინება, რომელსაც ბინძურად ახორციელებენ ნაციონალები, შორსაა ჩვენი, კავკასიური ეთიკიდან და ადათ-წესიდან, ამოძირკვონ მეტყველებიდან და ურთიერთობებიდან ბილწსიტყვაობა. დაცული იყოს ადამიანის ღირსება კანონით, თორემ სხვანაირად ნორმალურ სახელმწიფოს ჩვენ ვერ ავაშენებთ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

კვირიკაშვილი, ქუმსიშვილი, ხაზარაძე – ქართული ეკონომიკის ბერმუდის სამკუთხედი

მისცემენ თუ არა სისხლის სამართლის პასუხისგებაში „შესანიშნავ სამეულს“, რომელმაც ანაკლიის პორტის მშენებლობის საკითხი ჩააფლავა?

ეკონომიკის მინისტრ ქუმსიშვილის თქმით, „რაც შეეხება კრიტერიუმებს, რომლის თანახმადაც მოხდა აღნიშნული კონსორციუმის შერჩევა, იყო 4 ძირითადი კრიტერიუმი, მათ შორის განვითარების კონცეფცია, ფინანსური მდგრადობა, რეგიონის ეკონომიკური განვითარების ზოგადი ხედვა და იურიდიული მიმართულება.“

ხელშეკრულებას, რომელსაც მთავრობა ტენდერში გამარჯვებულს სთავაზობდა, დეტალებში ვერ განვიხილავთ, რადგან იგი უსაშველოდ დიდია. ამიტომ აქ შევჩერდეთ და გადავხედოთ უმთავრეს პირობებს, რომელიც – „ანაკლიის პორტთან დაკავშირებით ინტერესების გამოხატვა“-ში მონაწილეს უნდა წარმოედგინა:

1. 100 მილიონი და მეტი ტვირთბრუნვის დამადასტურებელი პროგრამა-წინა საპროექტო მოსაზრება.

2. პორტის პროექტი უნდა იკავებდეს ზღვის სანაპირო ზოლის მაქსიმალურად მცირე ნაწილს.

3. უკიდურესი აუცილებლობის გარდა არ უნდა ეხებოდეს დასახლებულ ტერიტორიას.

4. წარმოდგენილი პროექტი უნდა იყოს მომგებიანი და ტექნიკურად შესრულებადი.

5. ტენდერში მონაწილე კომპანია ვალდებულია წარმოადგინოს ინვესტორები, პროექტის დაფინანსების დამადასტურებული საბანკო საბუთებით.

„ანაკლია პორტის“ მშენებლობის ტენდერის გამოცხადებამდე ცოტა ხნით ადრე გამოჩნდა და 12 მონაწილეს შორის ვიხილეთ – **„კონტი-ჯგუფი“** და **„თი-ბი-სი ბანკის“** სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **მამუკა ხაზარაძე**.

წინადადებები, რომლითაც ხაზარაძის კონსორციუმი შემოდის, სახელმწიფოსთვის არარეალურიც არის და საზიანოც.

„ხაზარაძე და კონტი-ჯგუფის“ პროექტის გაცნობის შემდეგ ცხადი გახდა, რომ:

1. იგი ვერ ასრულებს ტენდერის უმთავრეს მოთხოვნას – 100 და მეტი მილიონ ტონა ტვირთბრუნვას წელიწადში. ექსპერტთა დასკვნით, წარმოდგენილი კონცეფცია ვერანაირად ვერ გასცდება წელიწადში 30 მილიონ ტონა ტვირთბრუნვას და მას შემდგომი განვითარების პერსპექტივა არ გააჩნია. უკიდურეს შემთხვევაში, მისი ტვირთბრუნვის გაზრდა ისედაც შეზღუდული ზღვის ნაპირის ხარჯზე უნდა მოხდეს.

2. იგი იკავებს ზღვის სანაპირო ზოლის 4 კილომეტრს.

3. პირდაპირ დამიზნებულია ანაკლიის აბორიგენ მოსახლეობაზე და ითხოვს 200 ოჯახის გასახლებას.

4. პორტის მშენებლობა დაგეგმილია გაშლილ ზღვაში, რაც მის საეჭვო დანიშნულებას უსვამს ხაზს.

5. საგანგაშოა ის, რომ „ხაზარაძე და კონტი-ჯგუფი“ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადების შემდეგ ეძებს ინვესტორს და დამფინანსებელს, მათ შორის, აცხადებს, რომ ჩინეთშიც ჰყავს პარტნიორი მოძიებული, მაგრამ მას საიდუმლოდ ინახავს!..

კონსორციუმ **„ანაკლია-პორტი და ეკო-პარკი“**-ს მიერ წარმოდგენილი წინა საპროექტო მოსაზრება:

1. წარმოდგენილ კონცეფციას გააჩნია გარანტირებული, შემდგომი განვითარების პერსპექტივა და იგი გაანგარიშებულია წელიწადში 100 და მეტი მილიონ ტონა ტვირთბრუნვაზე.

2. იგი ზღვის ნაპირის მხოლოდ 800 მეტრს იკავებს.

3. საერთოდ არ ეხება დასახლებულ ტერიტორიას.

4. პორტი შენდება ხმელეთზე და 350 მეტრი სიგანის არხით უერთდება ზღვას.

5. კონსორციუმ **„ანაკლია-პორტი და ეკო-პარკი“**-ს მიერ წარმოდგენილი წინა საპროექტო მოსაზრების ტექნიკურად გადაწყვეტა, მსოფლიოში აღიარებულ **(Ernst & Yang)** კომპანიაში ექსპერტიზაგავლილი დოკუმენტაციის თანხლებით ეჭვს არ იწვევს. დასაბუთებულია მისი ეკოლოგიურად გამართულობა და თანამედროვე, მსოფლიო სტანდარტებთან შესაბამისობა. ასევე, მზადყოფნაში აქვს ინვესტორთა მიერ წარმოდგენილი პორტის მშენებლობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი საბანკო გარანტიები.

ეკონომიკის მინისტრ **დიმიტრი ქუმსიშვილის** განცხადებით – „ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებულ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ იგივე „ხაზარაძე და კონტი-ჯგუფს“ მოწვეულმა უცხოელმა ექსპერტებმა და სატენდერო კომისიამ ასიდან 80 ქულა მიანიჭა!“

– სასწრაფოდაა გასარკვევი, – რატომ აირჩიეს ზემოთხსენებულმა ექსპერტებმა და სამთავრობო კომისიამ კომპანია, რომელსაც სტატიის დასაწყისში ჩამოთვლილი ხუთი ძირთადი მოთხოვნიდან ხუთივეში, თითქმის გადაუჭრელი პრობლემები გააჩნია?

– რაში მიენიჭა გამარჯვებულს – „ასიდან 80 ქულა“?

ეს ის კითხვებია, რომლებიც ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებს სცილდება და მას შესაბამისმა ორგანომ უნდა მიხედოს.

●

აქვე გაცნობებთ მცირე ინფორმაციას იმ ჩინური კომპანიის შესახებ, რომელსაც ანაკლიის პორტის სატენდერო კომისიამ უარი უთხრა:

„PowerChina“ უმსხვილესი სახელმწიფო კომპანიაა, რომელიც მომსახურებების ფართო სპექტრს უზრუნველყოფს.

კომპანიის ბიზნესი მოიცავს უძრავ ქონებას, ინვესტიციებსა და ფინანსებს. 2015 წლის ივნისის მონაცემებით, **„PowerChina“** 70,4 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ქონებას ფლობს და დასაქმებული ჰყავს 200 000 ადამიანი.

„PowerChina“-ს საზღვარგარეთის განყოფილების ვიცე-პრეზიდენტმა, ბატონმა **დუ ჩუნგუომ** განაცხადა: **„PowerChina“** თანახმაა, რომ ანაკლია პორტის პროექტის კაპიტალში ინვესტიცია განახორციელოს. **„PowerChina“** საკმაოდ მდიდარი გამოცდილება გააჩნია უცხოეთის ბაზარზე მუშაობისა. ჩვენ საქართველოში ოთხი გზის მშენებლობის პროექტი გვაქვს განხორციელებული. ჩვენ ასობით ადამიანი გვყავს მზადყოფნაში, რომლებიც მზად არიან პორტის ასაშენებლად. გარდა ამისა, ჩვენ გვყავს ძალიან კარგი პარტნიორი, შპს **„ანაკლია ეკო პარკი და პორტი“**. თავად ბატონმა **თეიმურაზ ქარჩავამ** ამ პროექტისათვის ძალიან დიდი ძალისხმევა გასწია და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი ორი კომპანიის კომბინაციით ჩვენ შევძლებთ ამ პროექტის მოგებას.“

●

როგორც ნახეთ, ბატონი **დუ ჩუნგუუს** ოპტიმიზმი არ გამართლდა. „შესანიშნავმა სამეულმა“ კვირიკაშვილ-ქუმსიშვილ-ხაზარაძის შემადგენლობით სულ ფეხებზე დაიკიდეს „პაუერ ჩაინა“ თავისი 70-მილიარდიანი ბრუნვით და ისეთი ხელოვნური ბარიკადები აღუმართეს „პაუერ ჩაინას“, ისეთი აბსურდული მოთხოვნები წაუყენეს, ისეთი ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული აბლაბუდები დაუხლართეს, „პაუერ ჩაინა“ მიხვდა, რომ ამათთან საქმის დაჭერა არ ღირდა.

როგორც ამბობენ, სწორედ დიმიტრი ქუმსიშვილი იყო ის კაცი, რომელმაც ბიძინა ივანიშვილი შეცდომაში შეიყვანა და დაარწმუნა, „პაუერ ჩაინა“ თვითონ ამბობს უარს პროექტის განხორციელებაზე და საკუთარი ნებით ტოვებს ასპარეზსო.

შედეგი: ქვეყანას ხელთ შერჩა მოპარტახებული ანაკლიის სანაპირო და პორტის აშენების გაურკვეველი, ბუნდოვანი, პესიმისტური პერსპექტივა.

ტენდერი რომ მიკერძოებულად, კანონის სრული დარღვევით, სატენდერო პირობების უგულებელყოფით, ჩატარდა, ამის გამორკვევა და დამტკიცება ადვილზე ადვილი საქმეა, თუ ხელისუფლება მოინდომებს და იმ დოკუმენტებს გადაავლებს თვალს, რომლებიც ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის სამწუხარო და გამაოგნებელ ისტორიას ასახავს.

კვირიკაშვილის პრემიერობის დროს ამ დოკუმენტების შესწავლა, ალბათ, შეუძლებელი იყო, რადგან უნდა ვივარაუდოთ, რომ კვირიკაშვილი თვითონ მონაწილეობდა და თვითონ ლობირებდა ანაკლიის პორტის ტენდერის გაყალბებასა და ფალსიფიკაციაში.

იმედი ვიქონიოთ, რომ ახალი მთავრობა ობიექტურად შეისწავლის ანაკლიის პორტთან დაკავშირებულ ყველა საკითხს და ამ საუკუნის აფიორაში მონაწილე ყველა პირს სათანადოდ მიუზღავს.

კვირიკაშვილი, ქუმსიშვილი, ხაზარაძე – ქართული ეკონომიკის ბერმუდის სამკუთხედი იყო, სადაც ნელ-ნელა იძირებიოდა და უჩინარდებოდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა.

მადლობა ღმერთს, ეს სამკუთხედი დაიშალა, მაგრამ სანამ ძირფესვიანად არ აღმოიფხვრება და არ ამოიძირკვება ის შხამიანი ფესვები, რაც მათ ქართული ეკონომიკის წიაღში ასე ღრმად ჩაუშვეს, მანამდე ეკონომიკის წინსვლა უკიდურესად შეფერხდება.

დავით ქობალია
597 99 37 93

P.S. ჩვენ ლონდონში დავუკავშირდით ბატონ თემურ ქარჩავას, რომელთან ინტერვიუსაც „საერთო გაზეთის“ მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

ძლიერი რეგიონები

ლაგოდეხი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერიაში აქტიურად მიმდინარეობს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი. 18 ივნისს გამართულ შეხვედრაზე სამუშაო ჯგუფმა განიხილა პირველადი დოკუმენტი და იმსჯელეს პრიორიტეტულ მიმართულებებზე, რომლებიც აისახება გეგმაში.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი 2018 წლიდან შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG), რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა), რათა მათ აქტიურად შეუწყონ ხელი ეკონომიკურ განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თანამონაწილეობის, საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევისა და ცხოვრების დონის ამაღლებისთვის.

ინიციატივის მონაწილე მუნიციპალიტეტებისთვის ადგილობრივი ხელისუფლებისა და მისი პარტნიორების მიერ შემუშავებული განვითარების გეგმა მიმართული უნდა იყოს კერძო სექტორის ზრდისკენ, რათა ხელი შეეწყოს ადგილობრივ განვითარებასა და დასაქმებას.

● თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საკონფერენციო დარბაზში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე წყლისა და წყალარინების პროექტების ტექნიკური დიზაინის შედგენის საკითხებზე იმსჯელეს.

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი, „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება პროექტის ციკლის მართვაში“, მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას მათ ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამოყალიბებაში, განვითარებაში, შესყიდვასა და მონიტორინგში.

პროექტი ხელს შეუწყობს ამ პროცესს და შემდეგ ასპექტებზე იქნება ორიენტირებული:

მუნიციპალიტეტების თანამშრომლობის სწავლება პროექტის ციკლის მართვის ძირითად ასპექტებში, მათი შესაძლებლობების გაზრდით ინფრასტრუქტურული პროექტების მართვაში;

მუნიციპალიტეტების დახმარება ისეთი ინსტრუმენტის განვითარებაში, რომელიც მათ პროექტების მომზადებაში დაეხმარება, ინფრასტრუქტურული და საინვესტიციო პროექტების ჩათვლით;

მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა პროექტების მართვაში;

სახელმძღვანელოებისა და სხვა ინსტრუმენტების განვითარება, როგორიცაა PCM ვებგვერდი, რომელიც ინტერმუნიციპალური კომუნიკაციის პროცესს შეუწყობს ხელს და დაეხმარება მათ პროექტების განსაზღვრისა და მართვის პროცესში.

შეხვედრას ესწრებოდნენ: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მალხაზ სამაშვილი, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის თეთრიწყაროს ოფისის წარმომადგენლები, ა(ა)იპ „თეთრიწყარო წყალის“ და მერიის თანამშრომლები.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

● ვაშლოვანის ქუჩაზე განახლდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის მიმდინარეობას მუნიციპალიტეტის მერი ჯონდო მდივნიშვილი მერის პირველ მოადგილესთან, ზურაბ ჯაფარიძესთან ერთად გაეცნო. სამუშაოების შეფერხების მიზეზად ქ. ლაგოდეხში სასმელი წყლის პროექტის განხორციელება სახელდებოდა. პრობლემა ამ ეტაპზე უკვე მოგვარებულია.

ვაშლოვანის ქუჩის რეაბილიტაცია ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) და საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტის (GURAD) ფარგლებში ხორციელდება. მისი ღირებულება 1221000 ლარია.

● საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით, სოფლის მოედნის განახლების პროგრამის ფარგლებში, სოფელ კართუბნის მოედანს რეაბილიტაცია ჩაუტარდა – მოედანი შემოიღობა, დამონტაჟდა ახალი კარი, ბადეები და ბანერი, სკამები. რეაბილიტირებული სტადიონი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა მუნიციპალიტეტის მერთან ჯონდო მდივნიშვილთან და ხელმძღვანელ პირებთან ერთად გახსნა.

სტადიონზე ამხანაგური მატჩიც გაიმართა. ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები ადგილობრივ ფეხბურთის მოყვარულებს დაუპირისპირდნენ. თამაში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამარჯვებით დასრულდა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში

12 მლნ ლარის ინვესტიცია კურორტ „ახტალის“ მშენებლობისთვის – აუქციონის შედეგების თანახმად, გამარჯვებულმა ინვესტორმა 3 760 000 ლარი უნდა გადაიხადოს და შემდეგ მინიმუმ 12 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელოს 48 თვის განმავლობაში. საბოლოოდ, გურჯაანს და მთლიანად საქართველოს შეემატება 120-ნომრიანი სასტუმრო კომპლექსი, ღია და დახურული ტიპის აუზებით, რესტორნებით, სარეაბილიტაციო/გამაჯანსაღებელი ცენტრებით, ეზოს გამწვანებით, გარე განათებით, ავტოსადგომით. ახლანდელ თანამშრომლებსაც შეინარჩუნებენ და ახალ სამუშაო ადგილებსაც შექმნიან.

ინვესტორი დაინტერესებულია, გურჯაანში შექმნას კომპლექსური საკურორტო ზონა, რომელიც გახდება საერთაშორისო მიზიდულობის ცენტრი და შიდა ტურისტების გარდა უმასპინძლებს სტუმრებს სხვადასხვა ქვეყნიდან.

აუქციონის პირობების მიხედვით, „ახტალის“ ტერიტორიაზე არსებული პარკი არ გადაეცემა ინვესტორს და რჩება გურჯაანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სარგებლობაში, თუმცა მის მოვლა-პატრონობის სრულ ხარჯებს ინვესტორი გაიღებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილესთან, მალხაზ მერაბიშვილთან და წითელი ჯვრის ექიმ თერაპევტთან ერთად სოფელ საბათლოს ეწვია, მოსიანების მატერიალურად გაჭირვებული ოჯახი მოინახულა და საკვები პროდუქტები გადასცა. გარდა ამისა, ოჯახის ასაკოვან წევრს, ანა მიქელაშვილს პირველადი სამედიცინო შემოწმება ადგილზე ჩაუტარდა.

მუნიციპალიტეტის მერი ოჯახის წევრებს არსებული პრობლემების მოგვარებაში დახმარებას დაჰპირდა. მოსიანებმა მერს მადლობა გადაუხადეს თანადგომისთვის და აღნიშნეს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები აქამდეც იჩენდნენ მზრუნველობას მათ მიმართ.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში

● სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ თეიმურაზ ბალარჯიშვილმა და თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა ლევან ჯანგულაშვილმა მოაწერეს.

მემორანდუმის თანახმად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიაში თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები (ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და ფინანსების სპეციალობა) პრაქტიკას უფასოდ გაივლიან. ადგილობრივი თვითმმართველობა პრაქტიკანტს უკეთესი შედეგისთვის მენტორს დაუნიშნავს.

დუშეთის მუნიციპალიტეტში

● მჭადიჯვრის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. მჭადიჯვარში დასრულდა სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა, დამონტაჟდა 32 საუბნო ონკანი. ამიერიდან 450-მდე ოჯახი სასმელი წყლით მთელი დღის განმავლობაში იქნება უზრუნველყოფილი.

წყლის პრობლემა მოსახლეობას წლების განმავლობაში აწუხებდა. ადგილობრივები დასრულებული სამუშაოებით კმაყოფილი არიან და აღნიშნავენ, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის მერმა მათ დანაპირები შეუსრულა.

დასრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები დუშეთის მუნიციპალიტეტის მერმა ზურაბ სეხნიაშვილმა, მერის მოადგილემ ზაქარია ხეხელაშვილმა და მერის წარმომადგენელმა მჭადიჯვრის ადმინისტრაციულ ერთეულში ზურაბ ჯარიაშვილმა დაათვალიერეს.

დედოფლისწყარო

ძლიერი საქართველოსთვის

ზუგდიდი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

● ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგია და მერის მოადგილე მაიზერ ნანავა უფასო სასადილოს ბენეფიციარებს ესტუმრნენ. საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრის – „აფხაზეთის" პროექტის მონაწილე ახალგაზრდებმა, სასადილოს ბენეფიციარებს ერთი დღე გაულამაზეს, ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ და მათთვის კონცერტი გამართეს.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ბენეფიციარებისთვის სასიამოვნო და უზრუნველი გარემოს შექმნა. მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია სოციალური პროგრამები და ამ სერვისის გაუმჯობესება", – აღნიშნა ლაშა გოგიამ და მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში უფასო სასადილოს პროგრამით 250-მდე ბენეფიციარი სარგებლობს, წელსვე პროგრამას ემატება სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ზამთრის პერიოდში საბაზისო პროდუქტის შეძენა.

სენაკის მუნიციპალიტეტში

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრის სრული რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს. მუშაობის პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ. რეაბილიტაცია, რომელიც ფონდ „ქართუს" მხარდაჭერით ხორციელდება, თავისი მასშტაბით უპრეცედენტოა თეატრის ისტორიაში.

შენობას ჩაუტარდა პირველადი აღდგენითი სამუშაოები. გამოიცვალა სახურავი, მოეწყო თბოიზოლაციის და სადრენაჟე სისტემები. დასრულებულია გათბობის, კონდიცირებისა და ვენტილაციის სისტემების მონტაჟი, სრულად განახლებულია ელექტროგაყვანილობა. ამ ეტაპზე დასრულდა რიგელების, სართულშუა გადახურვის ფილების, კიბის უჯრედების, ასევე სვეტების ლითონის კონსტრუქციებით გამაგრების სამუშაოები. გამოიცვალა კარ-ფანჯრები. დასრულდა ფასადის რეაბილიტაცია. სრული რეაბილიტაცია უტარდება სცენის სივრცეს. დაწყებულია თეატრის უნიკალური მხატვრობის რესტავრაცია, რომელზეც მხატვართა ჯგუფი მუშაობს.

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში

● ფოთის წყალარინების სისტემის რეაბილიტაციის პროცესის დაჩქარება და ტექნიკური საკითხები განიხილეს შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ: გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი ეკატერინე გალდავა, მისი მოადგილეები ირაკლი ურუშაძე და ზაზა სიხარულიძე, საერთაშორისო კონტრაქტორის TAHAL Group-ისა და საზედამხედველო კომპანია Safege-ს წარმომადგენლები. კომპანიის ხელმძღვანელობამ დღეს არსებული ვითარება შეაფასა და კონტრაქტორს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობების დაცვა მოსთხოვა

პროექტის დასრულების შემდეგ, ქალაქის მოსახლეობა თანამედროვე წყალარინების სისტემით ისარგებლებს

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში

● დასრულდა დაბა ჩხოროწყუში, მდინარე ოჩხომურზე, ამორტიზებული საავტომობილო ხიდის რეაბილიტაცია. ხიდზე მოძრაობა, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალებებით აკრძალული იყო, ამ დროისთვის აღდგენილია. სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების ფარგლებში ხიდის აღდგენისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 49 000 ლარი გამოიყო.

სამუშაოები ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერმა დათო გოგუამ და მერის პირველმა მოადგილემ გოჩა ჩიქოვანმა, მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროს თეიმურაზ მალანიასთან ერთად დაათვალიერეს.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში

მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან ერთად, სოფელ მუშევანის მოსახლეობის პრობლემებს გაეცნო. შეხვედრა იმ ობიექტების მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა, რომელთა რეაბილიტაციასაც ადგილობრივები ითხოვენ.

400-კომლიანი სოფელი არსებული რიტუალების სახლის სამზარეულოს მოწყობას და ინვენტარით აღჭურვას, ასევე რიტუალების სახლისა და სკოლის ეზოების გამყოფი ღობის გაკეთებას ითხოვს.

შეხვედრაზე სკოლის დირექციამ ეზოში მდებარე ხევის იზოლირება მუნიციპალიტეტის მერს პირადად სთხოვა. დღის წესრიგში კიდევ ერთი პრობლემის მოგვარება დადგა – უფუნქციოდ დარჩენილი ყოფილი სპორტდარბაზის ღია სამზარეულოდ გადაკეთება. სოფელში შიდა გზაც მოსაწესრიგებელია. აღნიშნული საკითხები მერმა მოსახლეობასთან ერთად განიხილა და ეტაპობრივად ყველა პრობლემის მოგვარებას დაჰპირდა.

● „ჰეიდარ ალიევის ფონდმა" საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს ბოლნისისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში ოპერირებისთვის ორი სპეცმანქანა გადასცა. ახალი რეანიმობილებით კლინიკებს შორის კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების გადაყვანა იქნება შესაძლებელი. ამ დრომდე ბოლნისის და გარდაბანის მუნიციპალიტეტებიდან პაციენტთა სამედიცინო ტრანსპორტირებისთვის ეკიპაჟი თბილისიდან იგზავნებოდა. ახალი რეანიმობილის მეშვეობით კრიტიკულ პაციენტებს ოპერატიულად გადაიყვანენ.

დმანისის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტში სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ არაქართულენოვანი მოსახლეობის ინფორმირებისთვის საინფორმაციო კამპანია დაიწყო.

კამპანიის მიზანია თითოეულმა მოქალაქემ მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია იმ სიკეთეებისა და შესაძლებლობების შესახებ, რომლებსაც სახელმწიფო სხვადასხვა მიმართულებით სთავაზობს მათ.

დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დარბაზში გაიმართა პირველი შეხვედრა, სადაც დამსწრე საზოგადოებას მიაწოდეს ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე, გააცნეს პროგრამა „აწარმოე საქართველოში" და სხვა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ცენტრალური, სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

საინფორმაციო შეხვედრები 11 ივნისიდან დაიწყო და ერთი თვის განმავლობაში რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტს მოიცავს.

მარნეულის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება. ამ ეტაპისთვის აქტიურად მიმდინარეობს სოფელ ლეჟბადინის, მუღანლოს, ქუთლიარისა და ბაიდარის გზების მოასფალტება. კონკრეტულად კი, ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში:

სოფელ ლეჟბადინში იგება 2 446 გრძ/მეტრი გზა;

სოფელ მუღანლოში – 1318 გრძ/მეტრი გზა;

სოფელ ბაიდარში – 1 404 გრძ/მეტრი გზა;

სოფელ ქუთლიარში 1308 გრძ/მეტრი გზა.

აღნიშნული პროექტები რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

წალკის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერმა ილია საბაძემ სოფ. კუშისა და სოფ. ავრანლოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. გზის მონაკვეთი, რომელიც მოსახლეობისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენდა, წლების განმავლობაში არ შეკეთებულა და ადგილობრივებს გადაადგილების პრობლემას უქმნიდა. წელს ეს პრობლემა მოუგვარდებათ – პროექტის ფარგლებში ბეტონის საფარი დაიგება 4600 მეტრი სიგრძის გზაზე. ხელშეკრულების პირობების თანახმად პროექტი მიმდინარე წლის ოქტომბერში დასრულდება.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში

მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს თავმჯდომარესთან და მოადგილეებთან ერთად, გარემოსდაცვით კომპანია ENVISO-ს და საპროექტო კომპანია GOG-ის წარმომადგენლებს შეხვდა. განიხილეს გუბაზეულის ხეობაში არაკაშხლური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საკითხი.

● საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ კახეთის რეგიონს ნარჩენების ახალი, ევროსტანდარტების შესაბამისი 1800 ერთეული ურნა გადასცა.

ტურისტული სეზონის მოახლოებასთან ერთად, ევროსტანდარტების შესაბამისი 10 000 ურნა საქართველოს სხვადასხვა რეგიონა ეტაპობრივად გადაეცემა, რაც რეგიონებსა და ტურისტულ ზონებში დასუფთავების სერვისის, ეკოლოგიური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

მარნეული

„ნიუ ეიჯი“ – ახალი რელიგია ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერებისთვის, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა



(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N 22)

1994 წლის 8 თებერვლის რეზოლუციაში ევროპარლამენტი წევრი-ქვეყნებისგან მკაფიოდ ითხოვდა ბოლო მოეღოთ ჰომოსექსუალისტებისთვის დაწესებული აკრძალვისთვის ჰყოლოდათ ოჯახი, იძლეოდა რეკომენდაციებს გარანტირებული ჰქონოდათ მთელი რიგი უფლებები, პარტნიორთა რეგისტრაციის შესაძლებლობა და მოხსნილიყო შეზღუდვა ჰომოსექსუალისტთა მიერ ბავშვთა მიშვილებაზე. 2000 წელს, ადამიანის უფლებათა ქარტიაში ევროპის კავშირმა უარი თქვა სქესის მითითებაზე ქორწინების განსაზღვრებისა და ბავშვის უფლებების დამტკიცების სფეროში (ლაპარაკია მშობლების თანასწორუფლებიანობაზე დედისა და მამის ხსენების გარეშე). 2001 წლის 5 ივლისის რეზოლუციაში ევროპარლამენტმა წევრ-ქვეყნებს რეკომენდაცია მისცა შეეცვალათ თავიანთი კანონმდებლობა ჰომოსექსუალისტთათვის თანაბარი უფლებების მინიჭების მხრივ და ევრო კავშირის დღის წესრიგში დაეყენებინათ საკითხი ჰომოსექსუალისტთა შორის ურთიერთობის კანონიკურობის აღიარებაზე. დაბოლოს 2003 წელს, ევროპარლამენტმა გაიმეორა თავისი მოთხოვნა მოხსნილიყო ჰომოსექსუალისტთა დისკრიმინაციის ყველა ფორმა (იურიდიული და ფაქტობრივი), კერძოდ, ქორწინებისა და ბავშვთა მიშვილების სფეროში. შემდეგათ, 2006 წლის რეზოლუციაში ქვეყნებს რეკომენდაცია მისცეს მიეღოთ ახალი ზომები ერთსქესოვანი ქორწინებების ლეგალიზაციისთვის და მოუწოდეს ყველას თავიანთი კანონმდებლობა ჰომოსექსუალისტებისადმი უფრო „ლმობიერი“ კანონებით შეეცვალათ. გარდა ამისა, ამავე რეზოლუციით გათვალისწინებულია მთელი რიგი ზომები იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც არაფერს იღონებენ ამ პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვლენილი სხვადასხვა ექსცესებისადმი.

იმისთვის, რათა არ გამოწვიათ ევროპელთა პირველდაწყებითი მძაფრი საპროტესტო რეაქცია, გარდამავალი ნაბიჯის სახით ევროპის პოლიტიკური ელიტის მაღალმა ეშელონებმა შეიმუშავეს ქორწინების ალტერნატიული ფორმა, ერთსქესიანი პარტნიორობის დარეგისტრირების უფლება, რომლის წყალობითაც გარყვნილები ღებულობდნენ საგადასახადო შეღავათებს და მემკვიდრეობის უფლებებს. პირველად კანონი ამის შესახებ მიღებულ იქნა დანიაში 1989- წელს., ხოლო დღეისთვის ის არსებობს ანდორაში, ავსტრალიაში, ავსტრიაში, ბრაზილიაში, დიდ ბრიტანეთში, უნგრეთში, გერმანიაში, ისრაელში, ირლანდიაში, ისლანდიაში, კოლუმბიაში, ლიხტენშტეინში, ლუქსემბურგში, სლოვენიაში, ფინეთში, ხორვატიაში, ჩეხეთში, შვეიცარიაში, ეკვადორსა და აშშ-ს ზოგიერთ შტატში. ჰომოსექსუალისტებს შეუძლიათ ოფიციალურად დარეგისტრირდნენ იტალიის ზოგიერთ ქალაქშიც. სხვადასხვა ქვეყნებში ეს „კავშირები“ სხვადასხვაგვარად იწოდება, განსხვავებულია უფლებების ჩამონათვალიც, რომლებითაც ისინი სარგებლობენ, თუმცა ამით არსი არ იცვლება – ეს არის ჰომოსექსუალისტთა „ქორწინების“ დაკანონების პირველი ფორმა. ბრძოლის ალგორითმი კარგად არის შემუშავებული და საკმაოდ მკაფიოდ მუშაობს. მოამზადეს რა ნიადაგი, უმეტესად „წინწაწეული“ მმართველები კიდევ უფრო შორს წავიდნენ და ჰომოსექსუალისტებს უკვე ქორწინების სრული უფლებები მიანიჭეს. პირველი სახელმწიფო, რომელმაც ეს აღიარა, გახდა ჰოლანდია (2001 წელს.), შემდეგ ამ გზას დაადგნენ ბელგია (2003-წელს), ესპანეთი, კანადა, სამხრეთ აფრიკა, ნორვეგია, შვედეთი, პორტუგალია, ისლანდია, არგენტინა, დანია და აშშსა და მექსიკის ზოგიერთი შტატები. 2013- წლის აპრილს მათ შეუერთდა ურუგვაი და ახალი ზელანდია, 18 მაისს – საფრანგეთი, ხოლო 21- მაისს ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატამ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც ერთსქესიანი ქორწინიების უფლებას იძლევა ინგლისსა და უელსში. ამჯერად მსგავს კანონპროექტებს განიხილავენ ლუქსემბურგი, ნეპალი და პარაგვაი.

არც ისე დრამატულად, მაგრამ საკმაოდ მძაფრად მიმდინარეობდა ამ საკითხის განხილვა ბრიტანეთის პარლამენტშიც. როგორც ევროპარლამენტის დეპუტატი დიდი ბრიტანეთის დამოუკიდებლობის პარტიიდან ნაიჯელ ფარაჯი უთითებდა, სინამდვილეში ყველაფერს წყვედტა არა ინგლისის პარლამენტი, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო. პრემიერ-მინისტრმა კამერონმა, მისი პარტიისა და ერის საწინააღმდეგოდ, ეს კანონპროექტი პარლამენტს თავს მოახვია უშუალოდ სტრასბურგის მითითებით. ასე, რომ არ არის გასაკვირი საფრანგეთსა და ბრიტანეთში ერთდროულად რომ განიხილებოდა ეს კანონპროექტი. თუმცა, ფარაჯმა გახსნა ევროკავშირის უფრო ღრმა ზრახვები, რომლებიც სტოკჰოლმის პროგრამის რეალიზაციასთან არის დაკავშირებული და გულისხმობს ევროპის ქვეყნების უფლებათა უნიფიცირებას 2010–2014- წლების პერიოდში. ამ მიზნების მიღწევის მეთოდები წარდგენილ იქნა ბერლინგუერის მოხსენებაში 2010- წელს, რომელიც, როგორც ფარაჯმა ივარაუდა, ამა წლის ნოემბერში უნდა იქნეს მიღებული. ამ კანონის თანახმად, ნებისმიერი სამოქალაქო პაქტი ან ქორწინება, რომელიც ევროკავშირის ერთ რომელიმე ქვეყანაში იქნება დადებული, კანონიერად უნდა იქნეს ცნობილი სხვა წევრი-ქვეყნების მიერაც. ანუ თუ წყვილს უფლება არა აქვს ქორწინება გააფორმოს თავის მშობლიურ ქვეყანაში, მას ამის გაკეთება შეუძლია ევროკავშირის ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, და როდესაც თავის ქვეყანაში დაბრუნდება, იქ უკვე ეს პაქტი კანონიკურად უნდა იქნეს აღიარებული. გასაგებია, რომ ამგვარი „ქორწინების უფლება“ ხელს შეუწყობს „ჰომოსექსუალური ქორწინების ტურიზმს“, და მათ ვინც ამგვარი ქორწინების წინააღმდეგია, იძულებულს გახდის აღიაროს იგი სხვა ქვეყანაში მიღებული კანონების მიხედვით. 2008- წლის მსოფლიო კრიზისის დაწყებით და მსოფლიო ელიტის მიერ „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარების აუცილებლობის ღიად გამოცხადებით სოდომიტების „უფლებების“ დამკვიდრების პოლიტიკა ახალ დონეზე გადავიდა. ჯერ-ერთი, ის აღწევს მსოფლიო მასშტაბებს, მეორეც, ჰომოფობიასთან ბრძოლის საბაბით ღებულობს ტრადიციული ღირებულებების აგრესიული დათრგუნვისა და გამოძევების ფორმას. 2008 -წელს გაეროს ისტორიაში პირველად საფრანგეთის, ნიდერლანდებისა და სხვა მთელი რიგი სახელმწიფოების ინიციატივით გენერალური ასამბლეის 63-ე სესიაზე მიღებულ იქნა დეკლარაცია ადამიანის უფლებებთან და სექსუალურ ორიენტაციასთან და გენდერულ იდენტურობასთან დაკავშირებით, რომელსაც მხარი დაუჭირა სახელმწიფოთა მესამედმა, დღეისთვის მას ხელი მოაწერა უკვე 68 სახელმწიფომ (ალბანეთი, გერმანია, ანდორა, არგენტინა, სომხეთი, ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, ბოლივია, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ბრაზილია, ბულგარეთი, კანადა, მწვანე კონცხი, ჩილი, კოლუმბია, კოსტა-რიკა (შეუერთდა 2010 წლის მარტში), ხორვატია, კუბა, დანია, ეკვადორი, აშშ (შეუერთდა 2009 წ.), ესპანეთი, ესტონეთი, მაკედონია, ფინეთი, საფრანგეთი, გაბონი, საქართველო, საბერძნეთი, გვინეა-ბისაუ, უნგრეთი, ირლანდია, ისლანდია, ისრაელი, იტალია, იაპონია, ლატვია, ლიტვა, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მალტა, მავრიკია, მექსიკა, ჩერნოგორია, ნეპალი, ნიკარაგუა, ნორვეგია, ახალი ზელანდია, პარაგვაი, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, ცენტრალური აფრიკის რესპუბლია, რუმინეთი, დიდი ბრიტანეთი, სანმარტინი, სან ტომე-და-პრინსიპე, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, შვედეთი, შვეიცარია, ტიმორ-ლესტე, ურუგვაი და ვენესუელა).ამან შედეგად გამოიწვია სოდომიტების უფლებების საყოველთაო გამყარება, რომელმაც თავი იჩინა ახლადმიღებულ კანონებში, რომლებიც ითვალისწინებენ დასჯას ჰომოფობიის საფუძველზე, ცნობენ ერთსქესოვან ქორწინებას და ამარტივებენ ტრანსგენდერთათვის ოფიციალური დოკუმენტების გაცემას, სადაც მითითებულია სასურველი სქესი. პოლიციის თანამშრომელთათვის, ციხეებისა და სოციალური მუშაკებისთვის, ასევე სხვა პერსონალისთვის შემუშავდა შესაბამისი პროგრამები. მრავალ სკოლაში რეალიზებულ იქნა ინიციატივები, რომლებიც მიმართულია დაშინების პრაქტიკის აღმოფხვრისკენ. 2011 წლის 15 ივნისს, ადამიანის უფლებათა დაცვის გაერო-ს საბჭომ 17/19-ე რეზოლუციით დაამტკიცა თანასწორობა ყველა ადამიანს შორის მიუხედავად მისი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტურობისა. ტექსტი, რომელიც წარადგინა სამხრეთ აფრიკამ, მხარი დაუჭირა 39-მა ქვეყანამ და ხელი მოაწერა 86-მა, დაამტკიცა ადამიანის უფლებათა უნივერსალურობა და მოითხოვა რათა 2011 წლის ბოლომდე შედგენილიყო მოხსენება სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებულ დისკრიმინაციულ

პრაქტიკასთან დაკავშირებით.

ფონდი, რომლის სახელწოდებაა „ადამიანის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტურობის უფლებები“ დაფუძნდა ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან საბრძოლველად და იმართება დონორი-სახელმწიფოების დახმარებით, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების შემწეობით, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან ადამიანის უფლებათა დაცვაზე. ფონდის საქმიანობაში შედის სოდომიტების მხარდამჭერი აქციების დაფინანსება. ამასთან საინტერესოა, რომ ფონდის ადმინისტრაციულ და ფინანსურ მართვას ახორციელებს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო 2010 წლის ივლისში შეიქმნა პირველი სამმართველო კომიტეტი, რომელიც შედგებოდა ფონდის სპონსორებისგან (ნორვეგიისა და ნიდერლანდების საელჩოები, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო). 2011 წლის თებერვალში კომიტეტმა შეიმუშავა სამი საცდელი პროექტი, რომელიც რეალიზებული იქნა ორი წლის განმავლობაში. პირველი მიმართული იყო მედია-კამპანიების დახმარებით ტოლერანტობის მისაღწევად ყველა დონეზე, ასევე ზეგავლენის მოხდენად კანონმდებლებზე (ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო კონვენციებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა გამოვლენის მხრივ) და ჰომოსექსუალისტთა უშუალო დაცვისკენ.

2013 წლის დასაწყისში (თებერვალ-მარტი) სამი კონტინენტის სახელმწიფოთა ძალისხმევით, ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო სტრატეგიის შესამუშავებლად, ბრაზილიაში (ამერიკა), კატმანდუსა (აზია) და პარიზში (ევროპა) ჩატარდა კონფერენცია ადამიანის უფლებათა და სექსუალურ-გენდერული იდენტურეობის დაცვის ეგიდით.ხოლო 15–16 აპრილს ოსლოს საერთაშორისო კონფერენციაში, რომელზეც შეიკრიბა მსოფლიოს 86 ქვეყნის 200-მდე წარმომადგენელი, წარმოდგენილ იქნა ჩატარებული მუშაობის შედეგები და განხილულ იქნა მომდევნო ნაბიჯები ლგბტ-თანამეგობრობის გაესაძლიერებლად. როგორც ვხედავთ, სოდომური მაფია დღეს გარდაიქცა მძლავრ იდეურ-პოლიტიკურ ძალად, რომელიც სულ უფრო და უფრო აგრესიულ ფორმებს ღებულობს, ამყარებს თავის კონტროლს კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების საკვანძო სფეროებზე. მისი წინსვლა მსოფლიო პოლიტიკის მწვერვალებისკენ მიმდინარეობდა უხილავად, დიდი ხნის განმავლობაში არ აღიქმებოდა სერიოზულ ძალად და განიხილებოდა როგორც ერთ-ერთი უმცირესობა. შედეგად, როდესაც დაგროვდა პოტენციალი და შეიქმნა მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა და მოძრაობათა ქსელი, ლგბტ-მოძრაობა გამოვიდა მსოფლიო არენაზე და აღმოჩნდა, რომ ძალაუფლებრივ სტრუქტურებში „სექსუალური უმცირესობა“ უკვე დიდი ხანია გადაქცეულია „სექსუალურ უმრავლესობად“, რომელიც მთელი სისატიკით კარნახობს თავის კანონებსა და ნორმებს. იბრძვის რა დისკრიმინაციისა და ჰომოფობიის სახელით (რომელიც შეიძლება საკმაოდ ფართოდ და თავისუფლად იქნეს განმარტებული), გარყვნილთა ძალა აქტიურად ამტკიცებს თავის განსაკუთრებულ უფლებებს და თანდათანობით იქცევა ხელშეუხებელთა კასტად.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

თახსირი

რა ქვეყანა ეს, სადაც მამაკაცები ზნემოშლილი დედაკაცებივით ჭორაობენ, ხოლო დედაკაცები მამაკაცებივით იგინებიან და საქმეებს არჩევენ?

რა ქვეყანაა ეს, სადაც კაცი, ქართული გვარ-სახელით — კოტე იოსელიანი, სახალხოდ და საჯაროდ, ტელევიზიით, ბინძურ, ამაზრზენ ჭორს ავრცელებს და იმის არ ეშინია, რომ, როცა ტელევიზიის შენობიდან გამოვა, რომელიმე სხვა კოტე იოსელიანი ან რომელიმე სხვა გიორგი ან ზვიადი, როგორც არაკაცს, პასუხს მოსთხოვს.

რა ქვეყაანაა ეს, სადაც კაცებს იმის არ ერიდებათ, რომ არაკაცს დაუძახებენ, ხოლო დედაკაცები მათი მდიდარი სექსუალური ცხოვრების ამსახველი კადრების სახალხოდ ჩვენების შემდეგაც ურცხვად და უტიფრად ჩნდებიან ეკრანებზე და ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობენ.

რა ქვეყანაა ეს, სადაც ადამიანებმა სირცხვილის გრძნობა დაკარგეს და სირცხვილთან ერთად დაკარგეს ღირსებაც, რომლის გარეშეც ადამიანს ადამიანი არ ეთქმის.

რა ქვეყანაა ეს, სადაც ვიღაც პროვოკატორს შეუძლია მიტინგზე გამოვიდეს, ადამიანებს ცოლშვილი შეუგინოს, მერე ეს თავისი „შემოქმედება“ სოციალური ქსელით გაავრცელოს, ხოლო როცა ამ უმსგავსობის გამო პასუხს მოსთხოვენ, პასუხის მომთხოვნები ციხეში ჩაყარონ, პროვოკატორი კი დაუსჯელი დარჩეს — მას თურმე გამოხატვის თავისუფლების „წმინდათაწმინდა“ „კანონი“ იცავს?

რა ქვეყანაა ეს, სადაც საკმარისია, პოლიტიკოსის სახელი დაირქვა და ამის შემდეგ ყველაფრის უფლება გეძლევა — ცილისწამების, შანტაჟის, პროვოკაციის, სიცრუის ტირაჟირების. თითქოს პოლიტიკოსობა გათახსირებულობის ლოცენზიას იძლეოდეს.

რა ქვეყანაა ეს, სადაც დაუსჯელობის სინდრომიოთ გალაღებული მკვლელები, ყაჩაღები, ბანდიტები, უკან, ხელისუფლებაში აპირებენ მობრუნებას, ხოლო მათი ხელისბიჭი კოტიკო იოსელიანი კატეგორიულად მოითხოვს, „ნაცმოძრაობისთვის“ სისხლიანი რეჟიმის დაძახება არავინ გაბედოსო.

რა ქვეყანაა ეს, სადაც შეიძლება ასეთი ამბები ხდებოდეს?

●

„როცა ეთერს იყენებ ჭორების ტირაჟირებისთვის (რისი გამეორების არავითარი სურვილი არ მაქვს) და როდესაც ყველანაირ მორალურ ადამიანურ წითელ ხაზს გადახვალ: მინიმუმ, ბოდიში უნდა მოიხადო ჩემთან და მთელ ტელევიზიასთან მიმართებაში! პოლიტიკოსი შვილებზე ბინძური ჭორების გავრცელების გზებს მედიის გამოყენებით არ უნდა ცდილობდეს! ეს არ არის გამოხატვის თავისუფლება!ეს არის ადამიანური მორალისა და უფლებების ყველანაირი დარღვევა!!! ეს არის სიბინძურე, გამოთქმული, რა ფორმასაც კატეგორიულად ვემიჯნები, პირდაპირ ეთერში და მოვითხოვ კოტე იოსელიანმა ბოდიში მოიხადოს „ფაბრიკის“ ეთერში გამოთქმული ბინძური ჭორების გამო“.

ეს „მრისხანე“ წერილი ტელეკომპანია „იბერიის“ ჟურნალისტმა გიორგი გასვიანმა მხოლოდ მას შემდეგ გამოაქვეყნა, რაც გათახსირებული იოსელიანის უზნეო გამოხტომას უამრავი მოქალაქის აღშფოთება მოჰყვა.

– ჩვენ ხომ ენმ-ის ოფისიდან ტუალეტის ქაღალდის მოპარვას გვაბრალებდა, მაშინ მივხვდი, რა ყველაფრის მკადრებელი ნაძირალა იყოო, — დააკომენტარა ოთო კახიძემ.

ამ საყოველთაო აღშფოთების ფონზე დაწერა გასვიანმა ზემოთხსენებული „მრისხანე“ წერილი, თორემ მანამდე მან და „ვანიამ“ („ხმამ“) მსუბუქი შენიშვნებით მიაცილეს ყიამყრალი სტუმარი კარამდე, გასვიანმა კი დამშვიდობებისას მაგრად ჩამოართვა ხელი კოტიკოს.

იოსელიანს დიდი ხანია, დაავიწყდა, რომ იოსელიანია, მაგრამ გასვიანსაც დაავიწყდა, რომ გასვიანია, თორემ ისე მოიქცეოდა, როგორც ასეთ დროს მისი გვარის ღირსეული კაცები მოიქცეოდნენ და სალახანა კოტიკოს ხელს კი არ ჩამოართმევდა, ჯერ ადგილზე მოახდევინებდა ბოდიშს, მერე კინწისკვრით მოისვრიდა სტუდიიდან.

ჩვენი მთავარი უბედურება ის ხომ არ არის, რომ ნელ-ნელა ყველას დაგვავიწყეს, ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, რა ჯიშის და რა ჯილაგისანი ვართ, ხოლო ეს თუ დაგავიწყდება, მერე ყველაფერს იკადრებ, ყველაფერზე მოაწერ ხელს და არც არაფრის შეგრცხვება, რადგან მახსოვრობა და მახსოვრობასთან ერთად წარსულიც გაქვს დაკარგული, რომლის გარეშეც ვერც აწმყოს ააშენებ და ვერც მომავალს.

გასვიანის „დიპლომატიური“ სვლა იოსელიანის მხრიდან ბოდიშის მოთხოვნასთან დაკავშირებით, მოქალაქეებმა, როგორც იტყვიან, არ ჭამეს და იქით შეუტიეს ტელეწამყვანს — იქ არ გყავდა, მაშინვე რატომ არ მოახდევინე ბოდიში ან შენ თვითონ რატომ არ მოუხადე ბოდიში მაყურებლებს, ამისთანა თახსირის მოთრევისთვისო.

გასვიანი პირველი არ არის, ვისაც „ნაციონალები“, მათი მოკავშირეები და სატელიტები თავიანთ გადაცემებში ექსპერტებად და მტყუან-მართლის გამრჩევებად მოჰყავთ და ქვეყნის დამაქცევრებს „კვალიფიციურ“ კომენტარებს და შეფასებებს სთხოვენ.

არ არსებობს ტელევიზია, არ არსებობს ტელეშოუ, არ არსებობს ტელეგადაცემა, სადაც ეს უზნეობა არ ხდება.

მართალია, ნაცების გაჯეჯილება კოაბიტაციას ბრალდება, თუმცა, სინამდვილეში, ნაცებს და სხვა მათნაირ კრიმინალებს სწორედ მედია, განსაკუთრებით, ელექტრონული მედია ასულდგმულებს და სიცოცხლეს უნარჩუნებს.

რამდენიმე იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველა წამყვანი ქართული ტელევიზია ერთი და იგივეა, ერთ თარგზე და ერთ ქარგაზეა მოჭრილი და, საბოლოო ჯამში, ერთსა და იმავე მიზანს და ამოცანას ემსახურება.

გულუბრყვილობა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ყოველივე ამის უკან ადგილობრივი ძალები დგანან და ისინი იძლევიან განკარგულებას, რომ ყველამ ერთ ხმაში იმღეროს და ყველამ ერთად, გაშლილი ფრონტით, ერთად გაილაშქრონ საქართველოს წინააღმდეგ.

ვფიქრობთ, საქმე გაცილებით რთულადაა და დირექტივები და ინსტრუქციები, სათანადო გრანტებით და დაფინანსებით, ქვეყნის საზღვრებს გარედან მოდის.

მოქალაქეები მოითხოვენ, კოტე იოსელიანმა კანონის წინაშე აგოს პასუხი.

კი, ბატონო, აგოს, მაგრამ გვაქვს კი ჩვენ ისეთი გამართული კანონი, რომ იოსელიანის მსგავს თახსირებს პასუხი აგებინოს?

არა, არ გვაქვს!

ჩვენ დღემდე სააკაშვილის მიერ ნაანდერძევი იმ კანონით ვხელმძღვანელობთ, რომელიც სიტყვით მკვლელებს, ცილისმწამებლებს, პროვოკატორებს, არაკაცებს და არაქალებს, ბინძური და საზარელი ჭორების გამავრცელებლებს იცავს, რაც იმას ნიშნავს, რომ აბსოლუტურად დაუცველია წესიერი და პატიოსანი მოქალაქე და, ამ მოქალაქესთან ერთად, დაუცველია ის სახელმწიფოც, სადაც ეს მოქალაქეები ცხოვრობენ.

გიორგი
გამეზარდაშვილი

ჩემი საქართველო აქ არის

ქეშას ბლოგი

– სიზარმაცეში, დავიწყებაში, ხვალისთვის გადადებაში...

ყველაფერი გვეზარება – ყველაფერს შუა გზაზე ვტოვებთ და ვყრით... სტატუსების დაწერით ვიოხებთ გულს და მეზობლებთან ჭორაობით გაგვყავს დრო.

ქვეყანა კი გვეღუპება, სიზარმაცეში გვეხრჩობა ქვეყანა.

ნაცების განდევნაც გვეზარებოდა, მთელი ცხრა წელი გვეზარებოდა – ვეტყოდით, გვიპასუხებდნენ, ვუპასუხებდით, დაგვტუსქავდნენ, დაგვტუქსავდნენ ას და ორასს ადამიანს და დანარჩენ ორასი ათაას, დანარჩენ ორ მილიონს, იმ ორასის გვერდით დადგომა გვეზარებოდა...

დაარბიეს 7 ნოემბერს აქცია, ცრემლსადენი აირით, ხელკეტებით, რეზინის ტყვიებით, აკუსტიკური თოფებით და წყლის ჭავლით დაარბიეს, ზოგი სცემეს, ზოგი ძალიან სცემეს, ზოგს თავი გაუტეხეს, ზოგს თავიც არ შეარჩინეს და 8 ნოემბერს – ქვეყანამ მშვიდად მისცა ხელისუფლებას უფლება, რუსთაველი დაელაგებინა, სისხლი აეწმინდა რუსთაველიდან – ქუდზე – კაცი, კაბაზე – ქალი არ გამოვიდა მეორე დღეს რუსთაველზე. შეგვეშინდა? – რისი? შეუძლებელია მთელ ერს მოერიოს პოლიცია, შეუძლებელია მთელ ქვეყანას მოერიოს ჯარი – ყველას ხომ ვერ დაგვხოცავდნენ – უბრალოდ, დაგვეზარა... 9 ნოემბერსაც დაგვეზარა და 10 ნოემბერსაც...

გავუშვით ნაცები, ჩვენ არა, თავად ნაცებმა გაყიდეს ნაცები და წავიდნენ და ახლა დასჯა დაგვეზარა – აუ, დაიჭერ ნაცს და ატეხენ დანარჩენი ნაცები მთელ ამბავს, დაგემუქრებიან სტრასბურგით, დაგემუქრებიან ამერიკით და აღშფოთებისთვის მუდამ მზადყოფნაში ევროპით – ხოდა, დავეზარა – უმტკიცე ახლა სტრასბურგს, ეომე ახლა ინფორმაციულად ნაცებს, უხსენი ახლა ამერიკას და ევროპას – რომ ყოფილი მთავრობის წევრებზე მაკომპრომიტირებელი ინფორმაცია გაქვს – ამიტომ, დავწვით ინფორმაცია, ფერფლს გავატანეთ სამართალია...

ჩვენ ისე ზარმაცები ვართ, რომ 51-ე სკოლის დირექტორს 6 თვე ეზარებოდა მოკლულ მოსწავლეზე კარგის თქმა, 6 თვე ათრევინა ჭორს და სიბინძურს, 6 თვე სილაში ედო სირაქლემასავით თავი...

ჩვენ ისე ზარმაცები ვართ, რომ ლგბტ საზოგადოება, თუ მთელი წლის მანძილზე, ეწევა თავისი თავის პროპაგანდას და აგიტაციას – ჩვენ მხოლოდ 17 მაისს გვახსენდება, 17 მაისს გვეწვევა ჯიგარი...

ისე ზარმაცები ვართ, რომ ერის სიწმინდეზე საუბარს საუბრით ვამთავრებთ, არ ვაპროტესტებს გაბორდელებულ ქალაქს – კანონიერია ბორდელები? კანონიერად ზის 16 წლის გოგო ზრდასრული კაცის მუხლებზე შუა აღმაშენებელზე?

აპოლიტიკურობა მოგვინდა... ჩვენ მოგვინდა აპოლიტიკურობა? პარადოქსიც აღარ არის, სასაცილოა... როგორ შეიძლება ამ ქვე-

ყანაში პოლიტიკური იყოს რამე, როცა არც ერთხელ არ გამოვსულვართ ქუჩაში პოლიტიკური პარტიების შემახილის გარეშე? არც ერთი სოციალური მოთხოვნის გამო არ გადაგვიკეტია რუსთაველი?

რატომ? – არ გვშია და არ გვწყურია?

ჩვენ გვეზარება პასუხი მოვთხოვოთ ჩინოვნიკებს და მერე გვიკვირს – გვიკვირს რატომ ეზარებათ მათ პასუხების გაცემა.

ჩვენ არ ვითხოვთ, გვითხრან, სად მიდის ბიუჯეტიდან თანხები, არ ვკითხულობთ, როგორ ხდება, რომ ბიუჯეტი იზრდება და ჩვენ ვპატარავდებით – მერე გვიკვირს, ამა თუ იმ ჩინოვნიკის გაზრდილი ხელფასი, მერე გვიკვირს დარიცხული პრემიები, დარიცხული დანამატები...

ვუყვებით მეზობლებს, მეგობრებს ვუყვებით, ნაცნობებს ვაჩერებთ და საქმის კურსში ვაყენებთ: რამდენი დანამატი და ხელფასი აუღია ამას და ამას, გაოცების გა-

მომხატველი ჟესტიკულაციებით ვიღლებით, ვოხრავთ და საფულეში ვიხედებით – მაგრამ ისევ გვეზარება, გვეზარება კითხვის დასმა ხმამაღლა და ისინიც იწერენ და იჯიბავენ, იჯიბავენ და მდიდრდებიან – ასე იყო და ასე იქნება – სანამ ჩვენ გვეზარება...

ჩვენ სარალიძის მოკლული შვილისთვის სამართლის თხოვნაც დაგვეზარა – დაგვეზარა და მივუგდეთ ნაცებს, მერე კონტრაქცია მოვაწყვეთ, რამდენიმე საათიანი და დავიშალეთ, ისევ ნაცების ანაბარა დავტოვეთ – გავსულიყავით ორასი ათასი ადამიანი და სად გამოჩნდებოდა ორი ათასი ნაცი – ვნახავდით, გამოვსულიყავით ყველა დაბასა და ქალაქში, ორი მილიონი გამოვსულიყავით, ამდენნი მაინც ხომ ვართ დარჩენილნი და ვინ იქნებოდა ნაცი, ვინ მოუსმენდა კუპრავას.

ტყუილია, ტყუილია რომ პოლიტიკოსები წყვეტენ – ხმა ერისა წყვეტს, ხალხის ხმაა გადამწყვეტი – მაგრამ, როცა ერს და ხალხს ხმა არა აქვს, როცა ერს და ხალხს ხმის ამოღება ეზარება, როცა ერმა და ხალხმა რამდენიმე ასეულ ადამიანს დაუთმო ასპარეზი – შედეგი ასეთია – დავტკბეთ.

რა შიში? ყველა მეორე ექსტრემალი ვართ, რომ გვკითხონ... მოტოებით დავრბივართ, პარაპლანებიდან ვხტებით, ახალ ნარკოტი-

კებს ვსინჯავთ, ავტორბოლებში ვიღებთ მონაწილეობას, ვჩხუბობთ უბანში ორი, ათის წინააღმდეგ, უთანასწოროდ და ამაყად. ყველა მეორე, საკუთარ სიცოცხლეს უაზროდ ვაგდებთ საფრთხის ქვეშ ყოველდღიურად – რა შიში, არ ვართ ჩვენ მშიშრები – ზარმაცები და ნაცარქექიები ვართ.

ნაცარქექიაც კი არ იყო მშიშარა, ისიც ებრძოდა დევს.

ჩვენ გვეზარება ჩვენი მიწის და სახლის დაცვა და მთავრობას ვლანძღავთ, მთავრობას ვთხოვთ პასუხს – უცხოელები რომ ჩვენს ქვეყანაში მიწებს და სახლებს ყიდულობენ – არ მოგვწონს, მაგრამ ვინ მიყიდა უცხოელს, ის მიწა და სახლი – ეს გვავიწყდება.

გვეზარება დაველოდოთ ქართველ მყიდველს, გვეზარება შრომით ვიშოვნოთ ის რამდენიმე ათასი, რომელსაც უცხელი გვიხდის ზედმეტად და ამიტომ, უშრომელად ვუთმობთ მათ ჩვენს მიწა-წყალს, ამიტომ არ ვყიდით ქართველზე.

7 შვილის დედა შეკრულ ბარგზე ზის, არც ერთი ქართველს არ უნდა, რომ სახლი მიაქირავოს, ამდენი ბავშვი სახლს გამიფუჭებსო, იხმაურებსო, მეზობლებს შემიწუხებსო.

თურქი ხომ არ შეუწუხებს მეზობელს, არც არაბი, არც ერაყელი.

თურქს და ერაყელს ქართველი გოგოები რომ მოჰყავს შულამისას სახლში – ეგ რატომ არ აწუხებთ ქართველ მეზობლებს?

9 ვაჟი რომ გაზარდეს ხერხეულიძეებმა – მაშინაც წუხდებოდნენ, ნეტავი, ქართველები? მაშინაც უკვირდათ, ნეტავი, ბევრი შვილი და ბევრი ბავშვი ერთად?

ბავშვები რომ შიმშილობენ, სათამაშოები რომ არა აქვთ ბავშვებს, ფერად ფანქრებს და სახატავ რვეულებს რომ ნატრობენ ბავშვები – ეგ ხომ არ გვაწუხებს?

კი, ეგაც სიზარმაცეა, გვეზარება ადამიანების მოსმენა, მოთმენა გვეზარება, აღზრდაში მონაწილეობის მიღება გვეზარება, სხვისი ტკივილის გაზიარება გვეზარება, დახმარება გვეზარება.

ისე წინ და წინ წავედით, უკვე ცოლის მოყვანა და გათხოვება გვეზარება, შვილის გაჩენა გვეზარება, მისი მოვლა და პატრონობა გვეზარება.

სიღარიბის ბრალიაო – მეტყვით ახლა და ეგაც ისეთივე ტყუილია, როგორც ის, რომ სამართლის მოთხოვნა გინდოდათ, მაგრამ კუპრავამ გადაგაფიქრებინათ – ღატაკ ქვეყნებში ყველგან მაღალი შობადობაა – ჩვენს გარდა. აქაც უცნაურები ვართ. აქაც პარადოქსს ვაწვებით. ღატაკს – ღარიბზე მეტი შვილი ჰყავს, ღარიბს – საშუალო მაცხოვრებელზე მეტი, საშუალო მაცხოვრებელს – მდიდარზე მეტი...

უფლის სახლში მოსალოცად შევდივართ და იმის კითხვა გვეზარება – რატომ არის გადაქცეული უფლის სახლი ისევ სავაჭრო დახლად – რა უნდა გასაყიდ პოვიდლოს და მურაბას, რა უნდა გასაყიდ შოკოლადს უფლის სახლში? ვისი მიწიდან მოჰყავთ ეს ხილი და ბოსტნეული, ზეცაში გამოკერებული მიწიდან? ამისთვის ვაჩუქეთ მიწები, რომ მერე იქ მოყვანილი პროდუქცია ოთუსბირად მოგვყიდონ?

თუ იმაზე ზედმეტი მოგვყავთ, რაც თავად გჭირდებათ, უპატრონო ბავშვები აღარ გვყავს? აღარ გვყავს გაჭირვებული ოჯახები?

რად უნდა მღვდელს სასტუმრო და ბიზნესი, რად უნდა მღვდელს სასახლე?

ნაცარქექიაც კი ადგა ერთ დღეს და გზას გაუდგა, იმანაც კი მოკლა, ერთ დღეს, დევი, იმანაც დაიწყო, ერთ დღეს, ცხოვრებასთან ბრძოლა...

ჭეშმარიტად, სიზარმაცე – ჩვენი საყვარელი ცოდვაა.

სიზარმაცეში ვერ ვიპოვნით ჭეშმარიტებას, სიზარმაცეში ვერ ვიპოვნით სიმართლეს, სიზარმაცეში ვერ ვიპონით პურს – სანახაობა კი, სანახაობა რამდენიც გვინდა.

ველოდები იმ დღეს, როცა სანახაობის ნახვაც დაგვეზარება...

სიზარმაცე – მკვლელობაა, ქურდობაა – სიზარმაცე, მეძავეობაა – სიზარმაცე, საკუთარი მშობლების და შვილების უპატივცემულობაა – სიზარმაცე, უფლის უსიყვარულობაშია -სიზარმაცე, ცილისწამებლობაა – სიზარმაცე...

ყველა ცოდვის თანაზიარნი ვართ, ჩვენი სიჩუმით და უმოქმედობით, ჩვენ, ასე საყვარლად ზარმაცნი...

555 46 08 04

თუ ვინმეს რეალურად შესტკივა გული დღეს საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე, ყოველ დილას სამი სიტყვა ახსენეთ: დიდება უფალს! დიდება სამშობლოს! დიდება იბერიას!

გვესაუბრება ახალგორის მკვიდრი გიორგი წიპტაური

— ბატონო გიორგი, პარტია „ჩვენი სამშობლოს“ სახელით გვეწვიეთ. რა გაქვთ სათქმელი „საერთო გაზეთის“ მკითხველებისთვის?

— მოდი, თავიდან დავიწყებ: 2015 წელს პარტია „ჩვენი სამშობლო“ დაარსდა და 2016 წელს კიდევაც მივიღეთ მონაწილება არჩევნებში. პარტიის ძირითადი შემადგენლობა ცხინვალიდან და აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა გახლდათ.

ჩვენი ძირითადი მიზანი საწყის ეტაპზე იყო ურთიერთობების აღდგენა ცხინვალისა და სოხუმის მოსახლეობასთან.

2018 წლის 24 თებერვალს კანონის სრული დაცვით პარტიის რიგგარეშე ყრილობა ჩავატარეთ, რადგან 2016 წლის შემდეგ პარტია აღარ ფუნქციონირებდა. გადავწყვიტეთ, დავრეგისტრირებულიყავით ხელახლა, თუმცა ტექნიკური შეცდომების გამო საჯარო რეესტრმა უარი გვითხრა რეგისტრაციაზე. შეცდომები გავასწორეთ, მაგრამ მაინც ვერ მოხერხდა პარტიის ხელხალი დარეგისტირება.

— ჩვენ გვქონდა ინტერვიუ პარტია „ჩვენი სამშობლოს“ ლიდერ ზვიად ჩიტიშვილთან. ვიცით, რომ მეტად საჭირო და აუცილებელ საქმეებს იყო შეჭიდებული. რატომ გახდა საჭირო ხელახალი რეგისტრაცია. უარი თქვა ლიდერობაზე ჩიტიშვილმა?

— სამწუხაროდ, პარტიის ყოფილი ლიდერი ამ საქმეებს მხოლოდ სიტყვით იყო შეჭიდებული. პარტიის შექმნიდან გარკვეული დროის შემდეგ იგი გაქრა და ორი წლის განმავლობაში თვალით არავის უნახავს.

როცა ყოფილმა ლიდერმა გაიგო, რომ რიგგარეშე ყრილობისთვის ვემზადებოდით, პარტიის აქტივისტ ქალბატონებს დაუკავშირდა და აღნიშნა, რომ პარტიის საქმიანობასთან დაკავშირებით ინტერესები აღარ ჰქონდა და თქვა: ჩამოვშორდი პოლიტიკურ საქმიანობას და საკუთარი პრობლემებით ვარ დაკავებულიო.

მოგვიანებით კი გამოჩნდა და გააკეთა განცხადება, რომ რიგგარეშე ყრილობის შესახებ თითქოს არაფერი იცოდა.

ერთი სიტყვით, პარტიის ყოფილმა ლიდერმა მშვენივრად იცოდა, რომ ყრილობა ტარდებოდა.

ყრილობაზე მოწვეული გვყავდა პარტიის ყველა აქტივისტი და წევრი. შეტყობინება მიიღო 220 დელეგატმა, ფიზიკურად დაესწრო 114 დეპუტატი.

ყრილობას სამი ძირითადი მიზანი ჰქონდა. პირველი: საქართველოს აუცილებლად უნდა მართავდეს ქართველი, მეორე, სადაც ქართველი დაიბადება, იქ უნდა ჰქონდეს ქართული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მესამე, ერთხელ და საბოლოოდ, უნდა ვიცოდეთ, სად მოსახნავია, სად დასათესი და სად სამშენებლო ტერიტორია. იმიტომ, რომ ჩვენი მიწები განუკითხავად არ გადავიდეს უცხოტომელის ხელში.

რაც შემეხება მე, დღესვე შემიძლია უამრავი ადამიანი ამოვიყენო გვერდით და ახალი პარტია დავაფუძნო, რომელიც სჭირდება ხალხს, დევნილ მოსახლეობას, რეგიონს, საქართველოს. უამრავი თანამოაზრე გვყავს და შეგვეძლო ახალი პარტია ჩამოგვეყალიბებინა, მაგრამ პრინციპული საკითხია— პარტია ჩემი და ჩემი მეგობრების ძალისხმევით და შრომით განმტკიცდა და არ გვინდა, ეომ დაიშალოს.

ისევ ყოფილ ხელმძღვანელს მივუბრუნდები. მის შესახებ ინფორმაციები გვაქვს, თუმცა ჭორის დონეზე და ამიტომ თქვენს შეკითხვას სრულად ვერ ვუპასუხებ, სანამ ყველაფერს დადასტურებულად არ შევიტყობთ.

თუმცა არაუშავს, ზოგი ჭირი მარგებელიაო, ხომ გაგიგიათ? ამ ხნის განმავლობაში ბევრი თანამოაზრე შევიძინეთ ჩრდილო კავკასიის სერიოზულ წარმომადგენლებში. ეს ის ხალხია, რომლებიც არ აღიარებენ საქართველოს დაქუცმაცებას.

— ვინ არის გიორგი წიპტაური. შეძლებს საქმეების გამკლავებას?

— გიორგი წიპტაური უბრალო ადამიანია, საქართველოს და პარტია „ჩვენი სამშობლოს“ რიგითი ჯარისკაცი, რომლის მიზანი იყო და არის პარტიის სახელით პირდაპირ მოლაპარაკებები დაიწყოს კონფლიქტურ მხარესთან და რუსეთთან მესამე ძალის გარეშე.

პარტია „ჩვენი სამშობლოს“ რიგგარეშე ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარედ მე ამირჩიეს. წესდება და სამოქმედო გეგმები იგივე დავტოვეთ და ჩემი ხელმძღვანელობით ბრძოლას ვაპირებთ...

მოსახლეობის დიდი ნაწილი გვიჭერდა მხარს და ჰქონდა ჩვენი იმედი, მაგრამ მას შემდეგ, რაც პარტია უმოქმედო მდგომარეობაში აღმოჩნდა, ხალხს იმედი გაუქრა, რომ რაიმე სასიკეთოს გაკეთება შეიძლებოდა პარტიის სახელით.

პირველ ეტაპზე, ჩვენი მისიაა მოსახლეობას იმედი დავუბრუნოთ. ისევ მათ გვერდით დავდგეთ. როგორ გამოგვივა ეს, არ ვიცით, მაგრამ ჩვენ მცდელობას არ დავაკლებთ და შესაძლებლობის მაქსიმუმს გავაკეთებთ. დარწმუნებული ვართ, ჩვენ, ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის მთელ მოსახლეობას, გამოგვივა ურთიერთობა, მეგობრობა და სიყვარული. ჩვენს უკან იმდენი საუკუნეა ჩავლილი, ისეთი კავშირები შექმნეს ჩვენმა წინაპრებმა, რომ ურთიერთობა

ნამდვილად გამოვა, რადგან ჩვენს ოს ძმებთან დღემდე გვაქვს ნათესაური და მეგობული კავშირები, მისვლა-მოსვლა, ჭირის და ლხინის გაზიარება. ჩვენ მთის ხალხი ვართ, ტრადიციებს ვცემთ პატივს, დღემდე ერთად დავდივართ სალოცავებში, ერთად ვილხენთ და ერთად ვართ ჭირშიც, ამიტომაც აქ პოლიტიკა საჭირო არ არის. პოლიტიკა და მოლაპარაკებები რუსეთთანაა აუცილებელი. კიდევ აღვნიშნავ, მოლაპარაკება მესამე ენის გარეშე.

საქართველო არის ევერიის წილხვედრი ქვეყანა. რუსეთის მფარველი ევერიის ღვთისმშობელია, ამიტომაც, რუსეთის ერი და ქვეყანა, ვალდებულნი არიან ურთიერთობები აღადგინონ ქართველ ერთან. დიახ, ერთან და არა პოლიტიკოსებთან.

ხელისუფლების უმრავლესობა თაღლითები არიან ჩვენთანაც და იმათთანაც, ამიტომ ნდობის საკითხი უნდა აღსდგეს ერებს, მოდგმასა და მოდგმას შორის.

— პოლიტიკური პარტიის ლიდერობას აპირებთ და პოლიტიკაზე უარს ამბობთ? გაუგებარია.

— პოლიტიკოსებთან საქმე არ მაქვს, მე საქმე მაქვს ქართველ, ოს, აფხაზ, რუს ხალხთან და ვამბობ: საქართველოს ქართველი უნდა მართავდეს!

ესენი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადებიან. ჩვენ კი ჩვენი ქვეყნის სამსახურისთვის.

დიდება სამშობლოს!

— რას ნიშნავს საქართველოს ქართველი მართავდეს. ქართველები არ არიან, ვინც დღეს საქართველოს მართავს?

— ადამიანი, რომელიც უცხოელებს ემსახურება, ფულზეა გაყიდული და ქართველი ხალხის ინტერესი არ გააჩნია, მე მას ქართველად არ მივიჩნევ, ანუ ქართველმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, ვისთან სურს სტრატეგიული ურთიერთობა და ვისთან მტრობა.

აქ ერთი პირი არაფერ შუაშია, ძალაუფლება მთლიანობაში უნდა გადავიბაროთ ქართველმა ხალხმა.

არ გვინდა არც უცხოური ფული, არც რჩევა-დარიგებები, ქართველებმა თვითონ გადავწყვიტოთ, თუ შეგვიძლია შრომა და ბრძოლა აფხაზებთან, ოსებთან თუ სხვებთან ერთად, ოღონდაც, კიდევ ვიმეორებ, ქვეყანა უნდა იმართებოდეს ქართულად!

ბრძოლას ვაპირებთ საქართველოს უკეთესი მომავლისთვის, მისი გაერთიანებისთვის.

ჩვენ უნდა ვიყოთ პირველი პარტია საქართველოში, რომელიც შეძლებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შევიდეს და ყველა პრობლემური საკითხი თანხმობით გადაწყვიტოს.

პირდაპირ ვიტყვი: აგვისტოს ომი პროვოცირებული იყო.

ჩემი ხედვით, დღესდღეობით, კიდევ ერთი საშიშროების წინაშე ვდგავართ — სულ მალე უცხოური ძალები თურქეთს დაარწმუნებენ, რომ დღევანდელი ქურთისტანის ტერიტორიაზე უარი თქვას და საქართველოს ტერიტორია შესთავაზოს სანაცვლოდ. ეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ და განსაკუთრებულად ფრთხილად ვიყოთ. დრო ოქროა და ეს დრო უნდა გამოვიყენოთ.

თუ ვინმეს რეალურად შესტკივა გული დღეს საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე, ყოველ დილას სამი სიტყვა ახსენეთ: დიდება უფალს! დიდება სამშობლოს! დიდება იბერიას!

ირანდა კალანდაძე
568 56 11 18

ახლახან ქართველმა მკითხველმა კიდევ ერთი ახალი გამოცემა მიიღო საჩუქრად — გამოვიდა „სახალისო ჟურნალი“ (2018 წლის №1).

ჟურნალში დაბეჭდილია მრავალფეროვანი მასალები.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია: გურამ პეტრიაშვილი, ვილენ მარდალეიშვილი, მამუკა ვაშაკიძე, ბუბა ხოტივარი, ამირან დოლიძე.

მხატვრები: გიორგი წერეთელი, ლევან ჭოღოშვილი, შალვა თოფურია.

ჟურნალი დაიბეჭდა თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით.

ვფიქრობთ, მკითხველი ინტერესით გაეცნობა ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებს.

ჟურნალის პრეზენტაცია გაიმართება 20 ივნისს, 18 სთ. და 30 წთ. მწერალთა სახლში (მაჩაბლის ქ.13)

წერილი რედაქციას

„საერთო გაზეთის“ დახმარებით მინდა მოგმართოთ თქვენ, სასამართლოს და საზოგადოებას.

ვარ კინოოპერატორი. მიმუშავია მრავალ მხატვრულ ფილმზე, მაგრამ პირადად მე რომ შემემთხვა, ისეთ „ფილმთან“ შეხება არასდროს მქონია. 2014 წელს ჩემს შვილს ჩემი კუთვნილი ავტომანაქნით ავტოსაგზაო შემთხვევა მოუვიდა და უცხო ადამიანს მისი კუთვნილი ავტომანქანა (საბედნიეროდ მხოლოდ მანქანა) დაუზიანა. მოქალაქეს მანქანა ჰქონდა დაზღვეული სადაზღვევო კომპანია „ირაოში“, სადაც იხდიდა დაზღვევის თანხას. კომპანია „ირაომ“ შეაკეთა-აღუდგინა დაზიანებული მანქანა და შეაფასა კოლოსალური თანხით. „ირაომ“ გადაწყვიტა, რომ ეს თანხა ამოეღო მთლიანად და დააკისრა არა მარტო ჩემს შვილს, არამედ მასთან ერთად, მეც, მამას. ვსვამ კითხვას: მე რატომ?

ამის შემდეგ დამიყადაღეს ქონება და ანგარიშები (ისე ვამბობ, თითქოს მქონდეს რამე). „ირაომ“ სასამართლოს დახმარებით დაუსწრებლად გამომიტანა განაჩენი.

დახმარებისთვის მივმართე ადვოკატურას (მთაწმინდის).

მადლობა ადვოკატებს: ლალი ბაგრატიონს, მარი მერებაშვილს, თამთა ასანიძეს, იმ ადამიანური დამოკიდებულებისთვის, რაც ჩემს მიმართ გამოიჩინეს. მათი დახმარებით შევიტანე საჩივარი სასამართლოში ყველა დეტალის ახსნა-განმარტებით. მე ვთხოვ მართლმსაჯულებას, მიიღოს ჩემი განცხადება, რათა ჩატარდეს ხელახალი საჯარო განხილვა ჩემი მონაწილეობით და მიიღონ სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილება.

ვარ 77 წლის პენსიონერი. გარდაცვლილი მყავს მეუღლე. ჭირს ცხოვრება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვარ უსაქმო და გამოუსადეგარი. ვიყავი პედაგოგი, საოპერატორო ფაკულტეტის დეკანი, რამდენიმე ინსტიტუტში ფოტოჟურნალისტიკას ვასწავლიდი. ნუთუ ჩემი დამსახურებების გათვალისწინებით არ უნდა მიაქციონ ჩემს სამართლიან მოთხოვნას ყურადღება?

პატივისცემით,
ომარ ბრეგვაძე

ლადო კუჭავა: დიახ, კიბო სასიკვდილო განაჩენი არ არის!

გვესაუბრება ექიმი-ონკოლოგი, კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ბატონი ლადო კუჭავა

— ბატონო ლადო, როგორც ონკოლოგს, შეგეკითხებით, 21-ე საუკუნეში ადამიანის დაავადებები შესწავლილი არ არის თუ ახალი დაავადებები ჩნდება და მედიცინა მათ ვერ ერევა?

— დღესდღეობით ყველა დაავადება არის შესწავლილი და გამოკვლეული. ოღონდ არსებობს ასეთი რეალობა — არც ერთი დაავადება ბოლომდე არ რჩება. მძიმე კარდიოლოგიური ან ონკოლოგიური, ქრონიკული, ალერგიული დაავადებები, დიაბეტი და მსგავსი ტიპის დაავადებები ბოლომდე განკურნებადი არ არის.

ჩვენი, ექიმების ძალისხმევა იქითკენ არის მიმართული, რომ ნებისმიერი დავადება გადაიყვანოს მყარი რემისიის პირობებში, რათა ამ დაავადებებმა არ შეუშალოს ხელი ადამიანს ნორმალურად იცხოვროს. გარკვეული პერიოდი ვაჩერებთ დაავადებას, თუმცა ის ოდესღაც თავს მაინც იჩენს.

თუ ვინმეს სურს, უკვდავების მოდელი შექმნას, მე ვეტყვი, რომ ეს მოდელი ბუნებაში უკვე შექმნილია, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში ადამიანს არ ეხება. თქვენ ახლა ესაუბრებით ონკოლოგს და მე გეუბნებით, რომ უკვდავების მოდელი შექმნილია და ამ მოდელში შედის, მაგალითად, სიმსივნური დადავადება სახელად კიბო, ის უკვდავია. კვდება მისი მასპინძელი ორგანიზმი, თორემ კიბო, თავისი არსით, უკვდავი ბიოლოგიური ერთეული გახლავთ.

— ბატონო ლადო, ინტერნეტში ბევრი ინფორმაცია მოიპოვება იმის შესახებ, რომ კიბოს კურნავენ, მაგალითად, იტალიელი მედიკოსები, ებრაელი ექიმები, აცხადებენ, რომ კიბო არის სოკოვანი დაავადება და მისგან განკურება შესაძლებელია.

— კიბო არ არის სოკოვანი დაავადება. ის ურთულესი ავადმყოფობაა, რომელსაც აქვს ძალიან ბევრი მიზეზი,

ნუ წარმოვიდგენთ ადამიანს, როგორც სამყაროსგან განყენებულ არსებას. როდესაც ქუჩაში გავდივართ, ჩვენს ორგანიზმზე მოქმედებს დაბინძურებული ჰაერი, ვიღებთ გენმოდიფიცირებულ, კონსერვირებულ საკვებს, სისტემატურად ვსუნთქავთ დაბინძურებულ ჰაერს, ვიღებთ მოწამლულ, არაჯანსღ პროდუქტს,. რადიაციული სხივები ჭარბად მოქმედებენ, ორგანიზმს ასუსტებს ათასგვარი ვირუსი...



— მაგრამ იმუნიტეტი? ის ხომ ებრძვის ამას?

— იმუნიტეტი ებრძვის, მაგრამ მისი შესაძლებლობები ამოუწურავი არ არის. თანაც, იმუნური სისტემა გარკვეულ ეტაპამდე მუშაობს. არის ისეთი შემთხვევაც, როცა იმუნური სისტემა ან ძალიან დასუსტებულია და ვერ უმკლავდება კიბოს წარმოქმნის ფაქტორებს, ან, უბრალოდ, „ვერ ცნობს“ „ახალ“ დაავადებას ორგანიზმში, რადგან კიბო ორგანიზმის „შვილი“ ხდება საწყის ეტაპზე. ამავე დროს, კიბო თავის ირგვლივ იქმნის ისეთ გარემოს, რომ იმუნიტეტს, ხშირ შემთხვევაში, თავის სასარგებლოდ იყენებს.

— სიმსივნურ დაავადებას კიბო რატომ ეწოდება?

— კიბოს ჯერ კიდევ ჰიპოკრატე იცნობდა. მან ქალის ძუძუში დაავადება აღმოაჩინა და ამ დაავადების გარეგნული ფორმები მდინარის კიბორჩხალას შეადარა. ამ დაავადებას აქედან მოყოლებული, მსოფლიოში ყველა კიბოს უწოდებს.

— რატომ ვერ დაამარცხა მედიცინამ კიბო?

— ერთგან კარგი ლიტერატურული შედარება წავიკითხე და ძალიან მომეწონა — კიბოში თვითონ დევს ავტონომიზაციის, ანუ დამოუკიდებლობის, სიცოცხლის, სიკვდილისა და უკვდავების პრობლემა ერთადღ. იქვე ეწერა, კიბო არის კაცობრიობის წინაშე მდგარი ინტელექტუალური გამოწვევაო და სწორად იყო ნათქვამი — ანუ შეგიძლია დამამარცხო?

— ვერ დამამარცხებო!

— რატომ ვერ დამამარცხებო?

— იმიტომ, რომ მისი ბიოლოგიური არსება უფრო ძლიერია, ვიდრე ადამიანის ბიოლოგიური არსება.

თქვენ გინახავთ ფილმი „არ დაიდარდო“?

— დიახ.

— იქ არის ერთი არაჩვეულებრივი ფრაზა. ბენჟამენი მკურნალობს თავის უფროს მეგობარს, ექიმ ლევანს, რომელიც ასეთ რამეს ეუბნება: რატომ სჭირდებოდა უფალ ღმერთს ამდენი დაავადებების გამოგზავნა, თუკი გაჩნდებოდნენ ექიმები, რომლებიც ამ დაავადებებს განკურნავდნენო? ანუ ღმერთს არ სურს ჩვენთვის დაავადებების გამოგზავნა, ჩვენი გაკეთილშობილებისთვის კეთდება ყველაფერი, მაგრამ ადამიანმა მაინც ვერ ისწავლა ჭკუა.

თქვენ რომ ბიბლია კარგად წაიკითხოთ, ნახავთ, რამდენჯერ მოუვლინა სასჯელი ღმერთმა ადამიანს, მაგრამ მაინც ვერ „გამოვსწორდით“.

— აბა, რატომ ავრცელებთ მოსაზრებას, რომ კიბო განკურნებადია. გვატყუებთ ექიმები?

— არა, რატომ? არც ერთი დაავადება განკურნებადი არ არის. ის გადადის ქრონიკულ ფაზაში და ეს ფაზა შეიძლება ათეული წლები გაგრძელდეს. 60 წლის ასაკში რომ კიბოს დიაგნოზი ექნება პაციენტს და ის 80 წლის ასაკში გარდაიცვლება, „განკურნება“ არ ჰქვია ამას? ასე რომ, თქვენ უტრირებთ, თორემ ჩვენ, ექიმები, ვამტკიცებთ, რომ კიბო სასიკვდილო განაჩენი არ არის!

— ქართული ონკოლოგიის წარმატებებზე რა შეგიძლიათ, გვითხრათ?

— საქართველოში არ არის იმ დონის ლაბორატორიები, რომ ამ დაავადების ფუნდამენტური კვლევა მიმდინარეობდეს. მეცნიერების და მეცნიერული კვლევების ადგილი საქართველოში არ არის.

— იყო ოდესმე?

— როგორ არა. საქართველოში უდიდესი სამეცნიერო ლაბორატორიები არსებობდა. თუმცა ქართული სამედიცინო მეცნიერება დამოუკიდებლად არასდროს არსებულა.

ირანდა კალანდაძე
568 56 11 18

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001